# აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№28 (25.052) შაბათი, 18 - 20 მარტი, 2023 წ. 50 თეთრი


## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, შიდამთიან რაიონებში - 12-17, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია უნალექო ამინდი, მომდევნო 2 დღეს - დროგამოშვებით წვიმა.

## კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით მყოფ გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების საქმეთა სახელმწიფო მდივან ჯეიმს კლევერლის შეხვდა. როგორც ცნობილი გახდა, საქართველოში დემოკრატიის გასაძლიერებლად დიდი ბრიტანეთი 500 ათას გირვანქა სტერლინგს გამოყოფს, რომელიც მიზნად ისახავს 2024 წლის არჩევნებისთვის თავისუფალი და სამართლიანი გარემოს შექმნას და გარე ჩარევისგან დაცვას. ჯეიმს კლევერლი გუშინ საოკუპაციო ხაზსაც ეწვია და არსებულ ჰუმანიტარულ ვითარებას ადგილზე გაეცნო. მაღალი დონის შეხვედრებზე ბრიტანულმა მხარემ დაადასტურა საქართველოს უპირობო მხარდაჭერის შეუქცევადობა.

* * *

„ქართული ოცნება“ აუცილებლად უნდა წავიდეს ხელისუფლებიდან, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“ არ უნდა მოვიდეს, - განაცხადა პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა ალექსანდრე ელისაშვილმა. პარლამენტარი პარტიებს, რომლებსაც აღნიშნულ საკითხზე იგივე პოზიცია აქვთ, თანამშრომლობისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ გაშვება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება 10 ნაბიჯით უკან წასვლა.

* * *

ვანო მერაბიშვილი არის „ენმ“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გულშემატკივარი, მაგრამ ის არ არის პარტიის მენეჯმენტის ნაწილი, არ უკავია არანაირი პარტიული თანამდებობა, არ ახმოვანებს პარტიის პოზიციებს და არ არის ჩართული ყოველდღიურ პარტიულ საქმიანობაში, - ასე გამოეხმაურა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ექსპრემიერის მიერ უკრაინული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუს, სადაც ის ქუჩის პროცესების გააქტიურებას აანონსებს. „ენმ“-ის განცხადების თანახმად, მერაბიშვილის მოსაზრებები მისი სუბიექტური აზრია და პირად პოზიციებს აჟღერებს.

* * *

საქართველოს პარლამენტთან ევროკავშირის დროშის დაწვის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 პირი დააჯარიმა. ევროკავშირის დროშის შებღალვა დასჯადია და ითვალისწინებს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარით. 14 მარტს პარლამენტთან „ალტ-ინფოს“ წარმომადგენლებმა აქცია გამართეს, რა დროსაც ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს და დაწვეს. მოგვიანებით საკანონმდებლო ორგანოსთან ევროკავშირის დროშა კვლავ აღიმართა.

მოამზადა
ია შველიძემ

# ჩვენ 102 წლისა ვართ!

# „მინისტრის საათი“ – უმაღლეს საბჭოში

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

*აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა, „მინისტრის საათის“ ფორმატში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილს მოუსმინეს*

მინისტრმა 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინა, ასევე, მიმდინარე წელს სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტებისა და სამომავლო გეგმების შესახებ დეტალურად ისაუბრა.

- მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2022 წელს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტი შეადგენდა 82 413 200 ლარს, ხოლო 2023 წელს აღნიშნული ბიუჯეტი გაიზარდა 23 079 000 ლარით, რაც სამინისტროს სფეროში შემავალი თითოეული მიმართულებით გაზრდილ მხარდაჭერასა და ახალ შესაძლებლობებს გულისხმობს ჩვენი მოქალაქეებისათვის, - აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა.

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა 2022 წელს და გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში კიდევ უფრო მასშტაბური პროექტებია დაგეგმილი 2023 წლისთვის, რაც 80 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციას გულისხმობს. შარშან სამინისტროს მხარდაჭერით და ფინანსური უზრუნველყოფით 300-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო საერთაშორისო გამოცდილება, ეს ციფრი, ისევე როგორც ბევრი სხვა მონაცემი, იქნება მზარდი 2023 წლისთვის. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერა-დაფინანსებისთვის 7 მილიონი ლარი დაიხარჯება მიმდინარე წელს.

2022 წელი იყო პირველი პოსტპანდემიური წელი, როდესაც სრულად აღდგა სპორტული პროცესი, მოიხსნა არსებული შეზღუდვები, მნიშვნელოვნად გაიზარდა სპორტული პროგრამების ბიუჯეტი.





ახალი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ბათუმში, განათლებისა და მეცნიერების ქალაქში 560 სტუდენტზე გათვლილი კოლეჯ „ბლექსის“ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა დაიწყო.

კულტურის მიმართულებით ბიუჯეტი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი და ამ სფეროს ხელშეწყობას 30 მილიონი ლარი მოხმარდება. აღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში ხელოვანებისთვის გაჩნდება ახალი შესაძლებლობები. 6,5 მილიონი ლარი დაიხარჯება კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე.

იხ. მე-3 გვ.


## მომხმარებლის უფლებების დაცვის კვირეული დასრულდა 2

## «ბიზნესი კვდება მაშინ, როცა მას მომხმარებელი არ ჰყავს» 4

## «ჩვენ ვირჩევთ ცივილურ მეთოდებს ჩვენი ამბების მოსაყოლად» 5

## 7 ქალბატონი - რეზერვისტთა რიგებში 6


ISSN 2720-8702


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# მომხმარებლის უფლებების დაცვის კვირეული დასრულდა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

***საქართველო წელს პირველად, მომხმარებლის უფლებების დაცვას სპეციალური კვირეულით შეხვდა. ამასთან დაკავშირებით, მარეგულირებელი უწყების მიერ ორგანიზებული შეხვედრა გაიმართა, რომელზეც მომხმარებლების უფლებების დაცვის კუთხით არსებული კანონები და მისი აღსრულების მექანიზმები განიხილეს. შეხვედრას სემეკის თავმჯდომარე დავით ნარმანია, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძე, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ***

„მომხმარებელი ჩვენი ეკონომიკის მძლავრი კომპონენტია, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიურიც კი, რომელზეც, რა თქმა უნდა, აისახება სახელმწიფოს თუ კერძო სექტორის გადაწყვეტილებები. ახალი სამუშაო ადგილები და გააქტიურებული ბიზნესპროცესები, ბუნებრივია, წარმოუდგენელია მომხმარებელთა ასევე გაზრდილი მაჩვენებლების გარეშე, რომელთა უფლებების დაცვა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში არაერთი, სერვისზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, სხვადასხვა კლასიფიკაციის და კატეგორიის მომხმარებელზე ვიყოთ ორიენტირებულები, რათა მათ სერვისებსა თუ პროდუქტზე წვდომა გაცილებით უფრო ეფექტურად შეძლონ“, - აღნიშნა შეხვედრაზე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ.



შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

- მოხარული ვარ, რომ მომხმარებელთა უფლებების კვირეულის დასკვნითი ნაწილი ბათუმში გაიმართა. აღსანიშნავია მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეალიზაციის მიზნით გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით აქტუალურია. მნიშვნელოვანი შედეგები გვაქვს სტანდარტიზაციასთან, საკანონმდებლო ინიციატივებთან და რეფორმირებასთან მიმართებაში.

ბათუმის ხვედრითი წილი ეკონომიკურ ზრდაში განსაკუთრებულია. ვცდილობთ, მომხმარებელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, მათი უფლებრივი მდგომარეობა და ინფორმირებულობა შესაბამისი იყოს. მნიშვნელოვანია ექვსივე მუნიციპალიტეტისა და ცენტრალური ხელისუფლების რგოლების წარმომადგენლების ჩართულობა, ვინაიდან ის საკითხები, რომლებიც მომხმარებლებს აწუხებთ, დანახული იქნება როგორც რეგიონულ, ასევე ცენტრალურ დონეზე, - განაცხადა ბათუმის მერმა.



კვირეული, რომელიც თბილისში დაიწყო, 17 მარტს ბათუმში დასრულდა.

# სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა

ფიქრია დავლაძე 579 25 25 72

***ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების ფარგლებში, აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ წელს დაფინანსება გაზარდა, ასევე, გაიზარდა პროგრამით მოსარგებლეთა ოდენობაც. ინფორმაციას ამის შესახებ აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს***

ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები ითვალისწინებს: „ბავშვთა ფსიქოსომატურ აბილიტაცია-რეაბილიტაციას“, - რაც გულისხმობს, ბავშვთა ცერებრალური დამბლის, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთების სხვადასხვა დაავადების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსის დაფინანსებას. ასევე ფინანსდება „ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“, „ბავშვთა ადრეული განვითარება“, „აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“. აღნიშნული პროგრამით, 2-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდების რეაბილიტაციის სრული კურსი დაფინანსდება. პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა ხარისხის სმენადაქვეითებული, სმენაპროთეზირებული ბავშვებიც იქნებიან უზრუნველყოფილნი. პროგრამების მიზანია აღნიშნული დიაგნოზების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახების გაძლიერება, ინკლუზიური განვითარების მხარდაჭერა. ერთ-ერთი ბენეფიციარი, რომელიც აჭარის ჯანდაცვის სამინისტოს პროგრამით სარგებლობს, 7 წლის ოთო ივანაძეა. იგი სოფელ დაგვაში ცხოვრობს და სმენის პრობლემა აქვს. როგორც პატარა ოთოს ბებია გვიყვება, ბავშვს სმენა არ ჰქონდა, რამაც, შესაბამისად, მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემები შექმნა. სმენის აღდგენითი ოპერაცია სრულიად უფასოდ, აჭარის ჯანდაცვის სამინისტოს დაფინანსებით ჩაუტარდა. რეაბილიტაციაც პროგრამის ფარგლებში, უფასოდ გაიარა. ოთომ ლაპარაკიც შეძლო. მოზარდი უფასო სარეაბილიტაციო დახმარებით დღემდე სარგებლობს. ის დაგვის საჯარო სკოლის მოსწავლეა. ქალბატონი ლია თავის შვილიშვილზე ამბობს, რომ მან მეტყველების თერაპევტისა და ფსიქოლოგის დახმარებით, შეძლო ალღო აეღო სასწავლო პროცესისთვის და თანატოლებს არ ჩამორჩენოდა უნარ-ჩვევების გამოვლენაში.

- მადლობელი ვარ აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს, რომ ასეთი კარგი საქმე გაგვიკეთა არამხოლოდ ჩვენ, არამედ ბევრ სხვა ბენეფიციარს. დაგვიდან მგზავრობის ხარჯებსაც სამინისტრო გვინაზღაურებს, ასევე, წელიწადში ერთხელ, ოთოს პროფესიონალი ნევროლოგი ირმა ხვიჩიაც ამოწმებს. მის ჯანმრთელობასა და გონებრივი შესაძლებლობების წარმოჩენაზე ფსიქოლოგი და ლოგოპედი მუდმივად მუშაობენ. მადლობა ღმერთს, რომ გვაქვს უკეთესობა, მომავალში უფრო დიდ შედეგს ველოდებით. ბავშვისთვისაც დიდი სიხარულია, როდესაც კომუნიკაციას ამყარებს თანატოლებთან, მასწავლებელთან, ოჯახის წევრებთან, - გვითხრა ლია ივანაძემ.

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის სხვადასხვა კურსი შარშან 2159 ბენეფიციარს ჩაუტარდა. წელს პროგრამის საერთო ბიუჯეტი 4 152 200 ლარს შეადგენს.

# „ეს საქართველოს, როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყნის, კიდევ ერთი აღიარებაა“

ია ხატიაშვილი 555 18 48 88

***ბრიუსელში გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) შეხვედრაზე, აღნიშნული ორგანიზაციის თავმჯდომარეობა საქართველოს ერთი წლის ვადით ამერიკის შეერთებული შტატებისგან გადმოეცა***

ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის თავმჯდომარეობის უფლებამოსილების განხორციელებას საქართველო მიმდინარე წლის პირველი მაისიდან დაიწყებს. „ეს საქართველოს, როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყნის, კიდევ ერთი აღიარებაა, რაც ხელს შეუწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და ექსპორტის ზრდას, მათ შორის, ამ ჯგუფის წევრ ქვეყნებს შორის. ერთი წლის განმავლობაში საქართველო სათავეში ჩაუდგება და კოორდინაციას გაუწევს ჯგუფის მუშაობას. ნოემბერში საქართველოში გაიმართება WWTG-ის ქვეყნების წარმომადგენლების შეხვედრა, სადაც განიხილავენ ღვინის ინდუსტრიის მნიშვნელოვან საკითხებს“, - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლამ, რომელიც ბელგიის დედაქალაქში გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობდა.



ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფი ღვინის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანებაა და მისი წევრები, საქართველოსთან ერთად, აშშ, არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ჩილე, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და ურუგვაი არიან. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ღვინით ვაჭრობის გამარტივება, ღვინით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა ინფორმაციის გაზიარებისა და სავაჭრო ბარიერების მოხსნისათვის ერთობლივი ქმედებების განხორციელების გზით.

„ამერიკის შეერთებული შტატების ღვინის ინდუსტრიის სახელით, მოხარულები ვართ, რომ საქართველო ხდება ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის თავმჯდომარე ქვეყანა. სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, ჩვენ ვმუშაობთ ევროკავშირში ღვინის ეტიკეტირების პრაქტიკების შეცვლაზე, ნარჩენების მართვაზე, მდგრად განვითარებასა და ღვინის ინდუსტრიისთვის მნიშვნელოვანი სხვა ინიციატივების განხორციელებაზე. რადგანაც უკვე ნამყოფი ვარ საქართველოში, კარგად ვიცი ქართული სტუმართმოყვარეობის შესახებ. WWTG-ის თავმჯდომარეობას ვულოცავ ქართულ გუნდს“, - აღნიშნა აშშ-ის ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენელმა კატერინა ბედარდმა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის თავმჯდომარეობა ყოველწლიურად როტაციის პრინციპით იცვლება. საქართველო WWTG-ს 2014 წელს თავმჯდომარეობდა. აღნიშნულ პერიოდში მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შეთანხმება და დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ღვინით ვაჭრობის პროცედურებს ამარტივებს. ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის მიერ საქართველოს ერთწლიანი თავმჯდომარეობის პერიოდი დადებითად შეფასდა. 2014 წლის აგვისტოში თბილისში გამართულ WWTG-ს პლენარულ შეხვედრაზე მიღებულ დოკუმენტს, ღვინის შემადგენლობისა და პოტენციური დამაბინძურებლების ანალიტიკური მეთოდოლოგიისა და მარეგულირებელი შეზღუდვების შესახებ, ორგანიზაციაში დღესაც „თბილისის განცხადებას“ უწოდებენ.

# ძველი ლიფტების შესაცვლელად

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებში არსებული ამორტიზებული ლიფტების დემონტაჟისა და ახალი, ელექტრონული ლიფტების მონტაჟის სამუშაოებზე ტენდერი მერიის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველომ 4 989 195 ლარით გამოაცხადა. ტენდერში წინადადებების მიღება 2023 წლის 5 აპრილს დაიწყება და 10 აპრილს დასრულდება. რაც შეეხება ლიფტების შეცვლას, მთლიანად უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 თვეში. ახალდამონტაჟებული ლიფტების საგარანტიო პერიოდი არის 3 წელი სამუშაოების დასრულებიდან.

„საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში მოახდინოს გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა ისე, რომ შესრულებული სამუშაოები სრულ შესაბამისობაში იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან“, - აღნიშნულია ტენდერის პირობაში.

# დარგის პოპულარიზაციისთვის

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროექტის ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა (USDA), პროექტის მენეჯერმა ბენჟამენ კარინმა, აშშ-ის განათლების საერთაშორისო სპეციალისტმა ლიზა ლოქსმენმა, აშშ-ის „Central State University“-ს წარმომადგენელმა, საერთაშორისო ექსპერტმა პროსპერ დუამეკპორმა და აშშ-ის „Prairie View A&M University“-ს წარმომადგენელმა, საერთაშორისო ექსპერტმა სინტია ფერფაქსმა სტუდენტებისათვის, ბათუმის N1, N28 საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და ახალგაზრდა ფერმერებისათვის ტრენინგები ჩაატარეს.

სწავლება მიზნად ისახავდა ახალგაზრდების სოფლის მეურნეობაში ჩართულობას და დარგის პოპულარიზაციას, ასევე აჭარის რეგიონისათვის საპილოტე ექსტენციის მოდელის შემუშავების პროცესში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, ადგილობრივ მხარეებთან შეხვედრების გამართვას და მომდევნო წლების აქტივობებზე ინტენსიურ მუშაობას.

პროექტის ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც გააერთიანებს სოფლის მეურნეობის ექსტენციას. ჯგუფის წევრები, მონაწილე მხარეების ჩართულობით, შეისწავლიან ტრენინგის მონაწილეთა ინიციატივებს, რომელთა გათვალისწინებით შეიქმნება მომდევნო ვიზიტის გეგმა კონკრეტული ამოცანებითა და ფინანსური მხარდაჭერით.

# ჯეიმს კლევერლი: ვაგრძელებთ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

*ვაგრძელებთ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს ვალდებულებები 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების ჩარჩოებში, - ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიმს კლევერლიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა*



„ძალიან დიდი მადლობა, რომ ასეთი თბილი მიღება გამიმართეთ საქართველოში. ჩვენ გვქონდა საშუალება, შევხვედროდით მთელ რიგ შემთხვევებში და ჩვენ რეგულარულად ვსაუბრობდით. ბოლო დროს მქონდა შესაძლებლობა, მემასპინძლა თქვენთვის ლონდონში, ვორდროფის დიალოგის ჩარჩოებში, მაგრამ ეს პირველი შესაძლებლობაა, საქართველოში ჩამოვსულიყავი. ძალიან თბილად მიმიღეს თქვენს მშვენიერ ქვეყანაში. საქართველო გაერთიანებული სამეფოსთვის დიდი ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი და ღირებული სტრატეგიული პარტნიორი იყო. ჩვენს ქვეყნებს ბოლო 30 წლის განმავლობაში ძალიან მყარი ურთიერთობები აქვთ, მას შემდეგ, რაც აღვადგინეთ დიპლომატიური ურთიერთობები, გავიარეთ ორმხრივი თანამშრომლობის ხანგრძლივი პერიოდი და მივიღეთ მაქსიმალური სარგებელი ჩვენი ისტორიული კავშირებიდან. მახსოვს, 1987 წელს, იმ დროის ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის ვიზიტი თქვენს ქვეყანაში. ოთხი წლის შემდეგ მოხდა საბჭოთა კავშირის ნგრევა და თქვენი სურვილი, მისწრაფება თავისუფლების, თვითგამორკვევისთვის იმ დროსაც კი ნათელი იყო და ახლა კიდევ უფრო გაძლიერდა. რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში, საერთაშორისო სამართლის სრული უარყოფა - ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული სუვერენიტეტის, ნამდვილად არ არის თქვენთვის შოკის მომგვრელი. რუსეთის შეჭრამ 2008 წელს საქართველოში და რუსეთის გაგრძელებულმა ყოფნამ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, ძალიან ღრმა ადამიანური ტანჯვა გამოიწვია, გაყო ქვეყანა, ოჯახები, შეზღუდა წვდომა წინაპრების მიწაზე და წმინდა რელიგიური ადგილებისადმი.

ჩვენ ვაგრძელებთ უწყვეტ მხარდაჭერას თქვენი სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობისადმი. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი გახლავთ საქართველოს განუყოფელი ნაწილები და მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს თავისი ვალდებულებები 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების ჩარჩოებში“, - განაცხადა ჯეიმს კლევერლიმ.

# „მინისტრის საათი“ – უმაღლეს საბჭოში

პირველი გვერდიდან

სხდომის დასრულების შემდეგ მაია ხაჯიშვილმა ჩვენს შეკითხვებს უპასუხა.

**- პანდემიის შემდგომ მუშაობას როგორ შეაფასებთ?**

- ვფიქრობ, გუნდი იყო მოტივირებული, აღჭურვილი ყველა იმ მხარდაჭერით, რომელიც მნიშვნელოვანია გამოწვევებთან გასამკლავებლად. მთლიანობაში, საზოგადოებამ უნდა შეაფასოს ჩვენი მიღწეული შედეგები.

**- რას გვეტყვით მიმდინარე წლის პრიორიტეტებზე, რა ახალი პროგრამებია მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის, ზოგადად ახალგაზრდებისთვის?**

- სიახლე გვაქვს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო განათლების მიმართულებით. ასევე, სიახლეა ახალგაზრდა მეცნიერების დაფინანსება, რაც აქამდე არ ყოფილა. ამასთან, გაცვლითი პროგრამები გაზრდილია „ახალგაზრდული ცენტრის“ უნივერსიტეტების, და უშუალოდ სამინისტროს მიერ გამოცხადებული საკონკურსო გრანტების მიმართულებით. ახალგაზრდებს უფრო მეტ მხარდაჭერას ვუცხადებთ კარიერული



წინსვლის ნაწილში. რაც შეეხება ხელოვანებს, გვინდა, რომ ყოველგვარი შეფერხების გარეშე ჩვენი კულტურა წარმოჩნდეს საერთაშორისო ასპარეზზე.

**- თქვენ ახსენეთ ბიბლიოთეკების განახლება. ეს თუ შეეხება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებს?**

აგრარული მიმართულების სტუდენტები ყოველთვის განიცდიან თანამედროვე ლიტერატურის სიმცირეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში... - ის პროგრამები, რომლებზეც ვისაუბრე, გულისხმობდა სასკოლო საბიბლიოთეკო სივრცეების განვითარებას. რაც შეეხება საუნივერსიტეტო სივრცეში სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც ყოველწლიურად შეიძლება იყოს სიახლე, ახალი სიტყვა ამა თუ იმ სფეროსთან მიმართებაში, ამ პროექტის მხარდაჭერისთვის ჩვენ ცალკე პროგრამა გვაქვს. ეს გულისხმობს უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნას და უნივერსიტეტებს აქვთ შესაძლებლობა, სამინისტროში წარმოადგინონ განაცხადი კონკრეტული უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის, ბეჭდვის თაობაზე. ბუნებრივია, ჩვენ მხარს დავუჭერთ.

## უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი კიევში ლატვიის პრემიერ-მინისტრ კრიშიანის კარინშს შეხვდა და რუსეთის აგრესიისგან თავის დასაცავად მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. „ლატვიის პრემიერ-მინისტრს კიევში შევხვდი. მადლობა გადავუხადე ჩვენი სახელმწიფოსთვის თავდაცვის ახალი პაკეტის გამოყოფისთვის, ყველა დონეზე პრინციპული მხარდაჭერისთვის - იარაღიდან დაწყებული პოლიტიკით დამთავრებული, რუსეთის წინააღმდეგ სანქციებიდან დაწყებული იურიდიულ საკითხებამდე“, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა. ზელენსკის თქმით, ლატვიის პრემიერ-მინისტრთან ევროკავშირისა და ნატოსკენ მიმავალ გზაზე უკრაინის პერსპექტივები განიხილა. „უკრაინა ყოველთვის ევროპა იყო. უკრაინა ყოველთვის იქნება ევროპა. რუსული ბომბები ვერ შეცვლის ობიექტურ რეალობას, რეალობას, რომელსაც უკრაინელები იცავენ. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ახლა იბრძვის მარინკას მახლობლად, ბახმუტთან, ავდიივკასთან, ლუგანსკის ოლქში, სამხრეთის ფრონტის ხაზზე. მადლობა ყველას, ვინც რუსეთს ასწავლის, რომ ბოროტებაზე პასუხისმგებლობა გარდაუვალია“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

* * *

ბელგია უკრაინას Volvo-ს 240 სამხედრო სატვირთო ავტომობილს გაუგზავნის. პირველი მანქანები მომავალ კვირას გაიგზავნება. მედიის ინფორმაციით, ბელგიის არმიაში Volvo-ს 400 სატვირთო მანქანაა და მათი უმეტესობა უკრაინას გადაეცემა. სატვირთო მანქანების უკრაინაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე უკრაინულ მხარესთან გაიმართა კონსულტაციები ასეთი დახმარების მიზანშეწონილობის შესახებ. „ამ საკითხზე მიმდინარეობს მჭიდრო კონსულტაციები უკრაინის თავდაცვის საკონტაქტო ჯგუფში. უკრაინელებს არაფერი მიეწოდებათ ისეთი, რასაც თავად არ ითხოვენ. მათი ქვედანაყოფები ელოდებიან ამ სატვირთო მანქანებს, რადგან ომის დროს ლოგისტიკა იარაღზე არანაკლებ მნიშვნელოვანია“, - განაცხადა წყარომ გამოცემა De Standaard-თან საუბარში.

* * *

ავსტრია შეუერთდა საერთაშორისო კოალიციას, რომელიც უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის დანაშაულთან დაკავშირებით რუსეთისთვის სპეციალური ტრიბუნალის შექმნის საკითხზე მუშაობს, - ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ „ტვიტერზე“ დაწერა. მისი თქმით, ამჟამად საერთაშორისო კოალიციაში 33 სახელმწიფო შედის. „მადლობელი ვარ ავსტრიის იმისთვის, რომ შეუერთდა იმ ქვეყნების კოალიციას, რომლებიც „უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის დანაშაულზე სპეციალური ტრიბუნალის“ შექმნაზე მუშაობენ. ძირითად ჯგუფში უკვე შედის 33 სახელმწიფო. მათი რიცხვის მატებასთან ერთად, იზრდება რწმენა იმისა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა პასუხს აგებს“, - წერს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი.

* * *

უკრაინელმა ჯარისკაცებმა ხუთი მიმართულებით, რუსული ძალების 70-ზე მეტი შეტევა მოიგერიეს, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დილის ანგარიშშია აღნიშნული. „უწყების ცნობით, მტრის ძირითადი ძალისხმევა კონცენტრირებულია ლიმანის, ბახმუტის, ავდიივკას, მარინკასა და შახტიორსკის მიმართულებებზე. მტერმა მათზე 70-ზე მეტი შეტევა განახორციელა“, - აცხადებენ გენშტაბში. გენერალური შტაბის ინფორმაციით, მტერი არ წყვეტს ქალაქ ბახმუტის შტურმის მცდელობებს, კუპიანსკისა და ლიმანის მიმართულებებით კი ისინი უკრაინელების თავდაცვის გარღვევას ცდილობენ. უკრაინის გენერალურ შტაბში აცხადებენ, რომ გასული დღის განმავლობაში, რუსულმა ძალებმა უკრაინის ტერიტორიაზე 5 სარაკეტო და 18 საჰაერო დარტყმა განახორციელეს და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებიდან ცეცხლი 73-ჯერ გახსნეს.

* * *

სლოვაკეთი უკრაინას 13 ერთეულ „მიგ 29“-ის ტიპის სამხედრო თვითმფრინავს გადასცემს, - ამის შესახებ სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა ედუარდ ჰეგერმა განაცხადა. მისივე განცხადებით, ქვეყნის მთავრობამ ერთხმად დაამტკიცა შეთანხმება და უკრაინას თვითმფრინავებს პოლონეთთან ერთად გაუგზავნის. სლოვაკეთის მთავრობის ხელმძღვანელის თქმით, სამხედრო თვითმფრინავები უკრაინელების დაცვას მოემსახურებიან და თავდასხმისთვის არ გამოიყენებენ. „დაპირებები უნდა შესრულდეს. როდესაც პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ითხოვა მეტი იარაღი, მათ შორის, საბრძოლო თვითმფრინავები, მე ვუთხარი, რომ ყველაფერს გავაკეთებთ. მოხარული ვარ, რომ სხვებიც იმავეს აკეთებენ. სამხედრო დახმარება არის გასაღები იმის უზრუნველსაყოფად, რომ უკრაინამ საკუთარი თავი და მთელი ევროპის რუსეთისგან დაცვა შეძლოს“, - დაწერა ჰეგერმა ტვიტერზე. „მიგ 29“-ის სანაცვლოდ, სლოვაკეთმა მოკავშირეებისგან 900 მილიონი ევროს კომპენსაცია უნდა მიიღოს.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

## უცხოეთი

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიწვევით, პრეზიდენტი სი ძინპინი 20-22 მარტს სახელმწიფო ვიზიტით რუსეთს ეწვევა, - განცხადება ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა. „მოლაპარაკებებისას განიხილება ყოვლისმომცველი პარტნიორული ურთიერთობების შემდგომი განვითარების და რუსეთ-ჩინეთის სტრატეგიული თანამშრომლობის აქტუალური საკითხები“, - აცხადებენ კრემლში. მათივე ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერება „რამდენიმე მნიშვნელოვან ორმხრივ დოკუმენტს“. მანამდე ჩინეთის საგარეო უწყებაში განაცხადეს, რომ ქვეყანა მზად არის უკრაინა-რუსეთის სამშვიდობო მოლაპარაკებების ფასილიტაციისთვის.

* * *

ემანუელ მაკრონის გადაწყვეტილებით, საფრანგეთის მთავრობამ სპეციალური კონსტიტუციური უფლებამოსილება გამოიყენა და საპენსიო ასაკის გაზრდის შესახებ სადავო კანონი პარლამენტში კენჭისყრის გარეშე მიიღო. ცვლილებების თანახმად, მინიმალური საპენსიო ასაკი 62-დან 64 წლამდე გაიზრდება. აღნიშნული ნაბიჯი პარიზის ქუჩებში ასობით ადამიანმა გააპროტესტა. პოლიციასა და მომიტინგეებს შორის შეტაკება მოხდა. აქციის რამდენიმე მონაწილემ სამართალდამცავებს ქვები დაუშინა, რის შემდეგად პოლიციამ აქციის დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. საპროტესტო აქციები საფრანგეთის რამდენიმე ქალაქში გაიმართა. პარიზში პოლიციამ 120 ადამიანი დააკავა.

* * *

ისრაელში საპროტესტო გამოსვლები გრძელდება. თელ-ავივში სასამართლო რეფორმის წინააღმდეგ გამართულ მსვლელობაში ასობით ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. გამოსვლები მას შემდეგ განახლდა, რაც ქვეყნის პრემიერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული კომპრომისული გეგმა უარყო. აქციის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ რეფორმა საფრთხეს უქმნის სასამართლოს დამოუკიდებლობას და მთავრობას საშუალებას აძლევს, საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული სასამართლოს გადაწყვეტილებები უგულებელყოს. ისრაელის სასამართლო რეფორმა გააკრიტიკა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა.

* * *

პოლონეთის სპეცსამსახურებმა 9 უცხოელი დააკავეს, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის სპეცსამსახურების სასარგებლოდ მოქმედებდნენ. პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, დაკავებული პირები პოლონეთის წინააღმდეგ სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებდნენ და რუსული დაზვერვის მოთხოვნით დივერსიულ აქტებს ამზადებდნენ.

* * *

მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში, პარლამენტის შენობის წინ ოპოზიციური პარტია „შორის“ მხარდამჭერებმა და წევრებმა საპროტესტო აქცია გამართეს. შეკრებილები ხელისუფლებისგან მოითხოვენ კანონპროექტის მიღებას, რათა ზამთრის თვეებში მოსახლეობის მიერ დახარჯული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახადი მთავრობამ სრულად დაფაროს. პარტია „შორი“ პარლამენტში შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის რეგისტრაციას გეგმავს.

**მოამზადა**
**ია შველიძემ**

# „ბიზნესი კვდება მაშინ, როცა მას მომხმარებელი არ ჰყავს“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93



*ბიზნესისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ფეხდაფეხ მისდიოს ცვლილებებს და დროულად გააანალიზოს განსაკუთრებული გარემოებების სტრატეგიული გავლენა საკუთარ პროცესებსა და ხალხზე. როგორია ახალი ეკონომიკური რეალობა, რა გამოწვევის წინაშე დგანან დღეს ბიზნესმენები და რა პრობლემები ექმნებათ მათ - ამ და სხვა საკითხებზე შპს „არ ჯი გრუპის“ დირექტორი* ***ვაჟა მკურნალიძე*** *გვესაუბრება.*

**- ბატონო ვაჟა, როდის დაიწყეთ ბიზნესი?**

- ბაზარზე უკვე 30 წელია ვართ. ჩვენი კომპანია „ოცნების სახლი“ ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც საქართველოში სამშენებლო-სარემონტო მასალების იმპორტი დაიწყო. მათ შორის გვქონდა „შოურუმები“, სადაც წარმოდგენილი იყო ინტერიერის და ექსტერიერის სამშენებლო მასალები. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანია არამხოლოდ ჩვენს რეგიონში, მთელ საქართველოში ერთ-ერთი პირველია, რომელიც აწარმოებს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით სერტიფიცირებულ ცეცხლგამძლე კარს, ასევე საევაკუაციო, ხმაგაუმტარ, ნებისმიერი დიზაინის და მომხმარებლის სურვილზე მორგებული პარამეტრების კარს. გვაქვს ულტრათანამედროვე, იტალიური წარმოების დანადგარები, რომლებითაც შესაძლებელია თვეში 5 000-მდე კარის წარმოება.

**- რამდენი თანამშრომელი გყავთ?**

- ამჟამად საგამოფენო დარბაზებსა და წარმოებებში 100-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული, როგორც ბათუმის, ასევე თბილისის ფილიალში. დედაქალაქში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ხისა და ლითონის კარის საწარმო „მეგადორსი“ გვაქვს, რომელიც „აწარმოე საქართველოს“ პროექტის ფარგლებში შეიქმნა, 2018 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და ამჟამად პროდუქციის რამდენიმე საერთაშორისო სერტიფიკატიც გვაქვს მოპოვებული.

**- შემთხვევით აღმოჩნდით ბიზნესის წარმოებაში თუ ამას რაიმე წინაპირობა ჰქონდა?**

- ჩვენი კომპანიის ისტორია ოჯახური ბიზნესიდან დაიწყო და მისი სულისჩამდგმელია ბატონი რაულ გაბაიძე. მან გარისკა და ბიზნესი იმ პერიოდში დაიწყო, როცა საქართველოში ძალიან ცუდი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა იყო, თავიდან ჰქონდა მხოლოდ ერთი, მცირე საგამოფენო დარბაზი და თურქეთიდან შემოტანილი რამდენიმე სახის პროდუქცია. შემდეგ ბიზნესი ნელ-ნელა გაფართოვდა, კომპანიამ ახალი სეგმენტი დაიმატა - ბუნებრივი ქვების იმპორტი. მომხმარებელს დაახლოებით 10 000-ზე მეტი სახეობის და დასახელების ბუნებრივ ქვას ვთავაზობთ: გრანიტი, მარმარილო, ონიქსი, კვარცი, ტრავერტინი, ტრაონიქსი და სხვა მრავალი. ქვები სხვადასხვა ქვეყნიდან შემოგვაქვს: ბრაზილიიდან, თურქეთიდან, ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან...

**- სტარტაპით დაიწყეთ თუ თავიდანვე დიდი კაპიტალი ჩადეთ საქმეში?**

- რა თქმა უნდა, საწყის ეტაპზე ეს იყო სტარტაპით შექმნილი ბიზნესი. საკუთარი ხარჯებით და სახსრებით მოხდა ამ ყველაფრის მობილიზება. მიზნობრივი რეინვესტირების შემდეგ, დღესდღეობით ბათუმში გვაქვს ოთხი საგამოფენო სივრცე და 1 დიდი ლოჯისტიკური ცენტრი. ცხადია, ეტაპობრივად ვსარგებლობთ ბანკის სესხებითაც, რამდენჯერმე სახელმწიფო პროგრამებითაც ვისარგებლეთ, თუმცა, ძირითადად, ყველაფერი საკუთარი ინვესტიციებით, დანაზოგებით შეიქმნა. უამრავი კრიზისის მიუხედავად, კომპანიამ სეგმენტში ლიდერობა შეინარჩუნა.

**- ხომ არ გიფიქრიათ ადგილობრივი ნედლეულის მუშაობაზე?**

- ჩვენს ქვეყანაში ამ სეგმენტში ბიზნესი, უმეტესწილად, იმპორტირებულ პროდუქციაზეა დამოკიდებული, რადგან ევროპული ნედლეული სერტიფიცირებულია. ვინაიდან გვაქვს მაღალი სტანდარტი, გვჭირდება სერტიფიცირებული ნედლეული და აქსესუარები. სამწუხაროდ, ამ მხრივ, საქართველოში წარმოება არ არსებობს. ხის მასალის შემოტანაც ევროპიდან გვიწევს. თუმცა, არის პერიოდი, როცა საქართველოში, ადგილობრივ ბაზარზე ვყიდულობთ ხარისხიან მასალას თუ ის სტანდარტს აკმაყოფილებს.

**- გიქმნით თუ არა პრობლემებს საგადასახადო სისტემა?**

- ამ საკითხმა განსაკუთრებით იჩინა თავი პანდემიის პერიოდში, როცა პირველი „ლოქდაუნი“ გამოცხადდა. სწორედ ამ დროს სხვადასხვა ქვეყნისთვის 15 კონტეინერი პროდუქცია გვქონდა შეკვეთილი. შეკვეთა, ცხადია, რამდენიმე თვით ადრე კეთდება, ლოჯისტიკაც გარკვეულ პერიოდს მოითხოვს. ბუნებრივია, არ იყო ცნობილი, რომ პანდემიის გამო ლოქდაუნი გამოცხადდებოდა. პროდუქციის შემოსვლა პირველ ტალღას დაემთხვა და საბაჟოზე საკმაოდ სოლიდური ღირებულების, დაახლოებით 100 000 დოლარის პროდუქცია გვქონდა. როცა ყველა ობიექტი დაიხურა, კომპანიას არავითარი შემოსავალი აღარ დარჩა. მოხდა ისე, რომ იმპორტირებული პროდუქციის დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოიშვა. მივმართეთ საგადასახადო ორგანოებს, რომ ლოქდაუნის პერიოდის გასვლის შემდეგ მომხდარიყო დღგ-ს თანხების ბიუჯეტში გადარიცხვა, თუმცა არ აღმოჩნდა რაიმე სახის მექანიზმი, რომელიც ამ პროცესის შეჩერებას უზრუნველყოფდა. შესაბამისად, ავტომატურად, კომპანიის ანგარიშებს ინკასო დაედო. მიუხედავად ამისა, არცერთი თანამშრომელი არ გაგვიშვია სამსახურიდან, ერთიც კი არ დაგვიტოვებია უხელფასოდ, ეს კი ძალიან მძიმე დარტყმა აღმოჩნდა კომპანიისთვის. გარკვეული ტიპის შეღავათები იყო, მაგრამ თვითონ საგადასახადო სისტემა ვერ აღმოჩნდა სრულყოფილად მზად ასეთი ტიპის გამოწვევისთვის, რაც, ბუნებრივია, ცუდად აისახა კომპანიის ფინანსურ შემოსავლებზე. როცა პანდემიას თავი დავაღწიეთ, ყველაფერი მოგვარდა და დასტაბილურდა.

**- რამდენიმე წლის წინ მთავრობამ ამნისტია გამოაცხადა, ურჩ გადამხდელებს დავალიანება გაუნულა. თქვენც მოხვდით ამ სიაში?**

- ვერა... და ვერც მოვხვდებოდით - არავითარი დავალიანება არ გვქონია. იმ კომპანიების და ფიზიკური პირების ამინისტირება მოხდა, რომლებსაც კოვიდრეგულაციების დარღვევის გამო ჯარიმები ჰქონდათ დაწესებული. საბედნიეროდ, ჩვენ ასეთი დარღვევა არ გვქონია, შესაბამისად, არც ეს სანქცია მიგვიღია. პირნათლად ვასრულებდით კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**- რას ნიშნავს თქვენთვის, იყოთ ბიზნესმენი?**

- ვიყოთ ბიზნესსფეროში და ვაკეთოთ ბიზნესი ნიშნავს, რაც შეიძლება ბევრ ადამიანს მივცეთ მაგალითი, რომ საქართველოშიც შეიძლება რაიმეს წარმოება. პირველ რიგში, ჩვენი ამოცანა ქართული წარმოების განვითარებაა. თუკი რისკებს სწორად მიუდგები და წინასწარ მაქსიმალურად შეაფასებ, ამ ქვეყანაში ნამდვილად აქვს წარმოების განვითარებას პერსპექტივა. გვსურს ბევრი კარგი პროექტი განვახორციელოთ და ასევე, ბევრი ადამიანი დავასაქმოთ.

**- რა პრობლემის წინაშე დგანან დღეს ქართველი ბიზნესმენები?**

- ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა ქართულ ბიზნესში არის ადამიანური რესურსი. საუბარი არ არის მხოლოდ კონსულტანტზე, მოლარე-ოპერატორსა ან ბუღალტერზე... პრობლემაა სპეციფიკური პროფესიის სპეციალისტები, მაგალითად, დურგალი ან შემდუღებელი, რომლებსაც საკმაოდ მაღალი ანაზღაურება აქვთ, მაგრამ ამ მხრივ საქართველოში კადრების ნაკლებობაა. უმეტესწილად უცხოელ სპეციალისტებს ვიწვევთ, თუმცა ვცდილობთ, ნულიდან დავიწყოთ და თანამშრომელს ყველაფერი ვასწავლოთ, მაგრამ ის შემდეგ უკეთესი შემოსავლის ძიების მიზნით, უცხოეთში მიდის... ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, ასევე, მცურავი სავალუტო კურსია. ძალიან ნეგატიურად მოქმედებს ლარის დევალვაცია ბიზნესზე.

**- ურჩიეთ დამწყებ ბიზნესმენებს, როგორააწყონ სწორად ბიზნესი.**

- არცერთ შემთხვევაში არ შეშინდნენ, გარისკონ - ბიზნესი ყოველდღიური რისკია. მაქსიმალურად ეცადონ, ინფორმაცია მიიღონ, რჩევები გაითვალისწინონ, რისკები სწორად გათვალონ და, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესის დაწყებამდე, ბაზარზე არსებული მდგომარეობა შეისწავლონ. ამ დროს ერთი წუთითაც არ შეიძლება მოდუნება. თავდაპირველად, არ უნდა შეეჭიდონ ძალიან მასშტაბურ ინვესტიციას, სწორად უნდა გათვალონ თავიანთი ბიზნესის მოსალოდნელი შესაძლებლობები.

*„ვიყოთ ბიზნესსფეროში და ვაკეთოთ ბიზნესი ნიშნავს, რაც შეიძლება ბევრ ადამიანს მივცეთ მაგალითი, რომ საქართველოშიც შეიძლება რაიმეს წარმოება. პირველ რიგში, ჩვენი ამოცანა ქართული წარმოების განვითარებაა. თუკი რისკებს სწორად მიუდგები და წინასწარ მაქსიმალურად შეაფასებ, ამ ქვეყანაში ნამდვილად აქვს წარმოების განვითარებას პერსპექტივა*

**- როგორ მოახერხეთ ქართულ ბიზნესში საკუთარი ნიშის პოვნა?**

- ეს იყო ბატონი რაულის ძალიან დიდი და თავდაუზოგავი შრომის შედეგი. შემდეგ ჩვენც გვერდში ამოვუდექით და, ასე ვთქვათ, უკვე არსებულის განვითარება მოგვიწია, რასაც, რა თქმა უნდა, ახლავს თავისი ძალიან ბევრი ბარიერი და პრობლემა. ვფიქრობ, ბიზნესის შენარჩუნება და დღეს არსებული რეალობის გათვალისწინებით მოწინავე პოზიციაზე ყოფნა შევძელით. ბევრი კრიზისის მიუხედავად, არ შეგვიჩერებია პროდუქციის ნაირსახეობის წარმოება, რამაც მომხმარებელი შეგვინარჩუნა. ბიზნესი კვდება მაშინ, როცა მას მომხმარებელი არ ჰყავს.

**- როგორია ბუნებრივი ქვების დამზადების ტექნოლოგია?**

- ბუნებრივი ქვა ფილების სახით შემოგვაქვს და ჩვენს საამქროში ვამუშავებთ. გვაქვს სხვადასხვა დანადგარი, ჯერ მისი დაფორმატება ხდება, შემდეგ ხელით დამუშავება, თუმცა, ახალმა ტექნოლოგიამ ხელით შრომა მინიმუმამდე დაიყვანა. ჩვენ გვყავს გამოცდილ ოსტატთა გუნდი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი სირთულის მასალის დამუშავება.

**- ონლაინგაყიდვებზე რას გვეტყვით?**

- მასზე ჩვენც გადავერთეთ. რა თქმა უნდა, ზოგს გაუჭირდა ამისთვის მხრის აბმა, რადგან ყველას არ აქვს ინტერნეტზე წვდომა, განსაკუთრებით - რაიონებში (ჩვენი მომხმარებლის საკმაოდ სოლიდური ნაწილი რაიონებიდანაა). როცა მომხმარებელს ონლაინ ვთავაზობთ ბუნებრივი ქვისგან დამზადებულ სამზარეულოს ზედაპირს, შეუძლებელია, მან სურათით შეძლოს ქვის შერჩევა. ბუნებრივია, ურჩევნია, მოვიდეს და ადგილზე ნახოს სასურველი ავეჯი, თუმცა, რაღაც დოზით, ონლაინგაყიდვებიც მუშაობს. განვითარებულ ქვეყნებში პროდუქციის თითქმის 60% ონლაინ იყიდება, ამიტომ ჩვენც უნდა ვეცადოთ, დავეწიოთ განვითარებულ ევროპას.

**- პანდემიის დროს, როცა ყველაფერი დაიხურა, თანამშრომლები როგორ შეინარჩუნეთ?**

- როგორც აღვნიშნე, არცერთი თანამშრომელი არ დაგვითხოვია სამსახურიდან, არც უფასო შვებულებაში გაგვიშვია. მათ შევუნარჩუნეთ ძირითადი სახელფასო განაკვეთი. ყველა თანამშრომელი, როცა მუშაობის დაწყების შესაძლებლობა მოგვეცა, უკლებლივ დაუბრუნდა თავის ადგილს. რა თქმა უნდა, მთავრობის საშეღავათო სხვადასხვა პაკეტითაც ვისარგებლეთ.

**- რა გეგმები გაქვთ?**

- ვფიქრობთ, განვავითაროთ თანამედროვე ავეჯის მწარმოებლის მიმართულება - ეს არის ბუნებრივი ქვისა და ლითონის ელემენტებით დამზადებული ავეჯი. დავიწყეთ ლითონის წარმოების განვითარებაც, ჩამოვიტანეთ ლაზერული ჭრის თანამედროვე დანადგარები. ვგეგმავთ, ასევე, სამღებრო კუთხის მოწყობას, სადაც სტატიკურად შეიღებება ჩვენს მიერ წარმოებული ლითონის თუ ხის კარები. ბათუმელებისთვის სასიამოვნო სიახლეც გვაქვს - მალე სავაჭრო ცენტრის მშენებლობას დავიწყებთ, სადაც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა სახეობის პროდუქცია. ბუნებრივი ქვის დამუშავების საწარმოებში დამატებით ორმოცდაათამდე ადამიანს დავასაქმებთ. გვინდა უახლოეს პერიოდში განვავითაროთ ბუნებრივი ქვის ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგია და ხაზი. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, ჩვენი წარმოება იყოს აბსოლუტურად უდანაკარგო - ქვების დამუშავების დროს წარმოქმნილი ნარჩენებისგან შევქმნით პროდუქციას, რომელიც ძალიან კარგად გამოიყენება როგორც სარემონტო სამუშაოებისთვის, ასევე დეკორატიული მიმართულებითაც. კიდევ ერთი სიახლე გვაქვს - აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გამოცხადებულ აუქციონზე, ჩვენი ობიექტის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთი შევისყიდეთ. ეს არის პირობადადებული აუქციონი, სადაც ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი წლის განმავლობაში, არანაკლებ ერთი მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება გვაქვს. სწორედ მის ფარგლებში ვგეგმავთ ძალიან მასშტაბური პროექტის განხორციელებას.

## „დაინტერესებული ვართ საპორტო ინფრასტრუქტურით, საბანკო სისტემით და ტექნოლოგიებით“



ველოდებით, რომ არაბეთის გაერთიანებულ საამიროებსა და საქართველოს შორის ახალი ხანა დაიწყება - განაცხადა არაბეთის გაერთიანებული საამიროების ვაჭრობის მინისტრმა თანი ბინ აჰმედ ალ ზეიუდიმ საქართველოსა და არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს შორის ბიზნესფორუმზე. მისი თქმით, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს საქართველოში ერთ მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია აქვს განხორციელებული და კიდევ უფრო მეტის შესაძლებლობა არსებობს.

„ჩვენ ჩამოსული ვართ დიდი დელეგაციით - 40-ზე მეტ დელეგატთან ერთად კერძო სექტორიდან. იმედი გვაქვს, რომ დავასრულებთ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მუშაობას. ვამაყობთ იმით, რასაც უკვე მივაღწიეთ, ახლა კი ველოდებით, რომ დაიწყება ახალი ხანა არაბეთის გაერთიანებულ საამიროებსა და საქართველოს შორის. გასულ წელს 100%-ზე მეტი ზრდა იყო, სავაჭრო ბრუნვამ კი 460 მილიონ დოლარს მიაღწია. ამასთანავე, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს საქართველოში განხორციელებული აქვს ერთ მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია და არსებობს უფრო მეტის შესაძლებლობა ინფრასტრუქტურის, სტუმარმასპინძლობის და სასტუმროების მიმართულებით, რითაც ჩვენი ერთ-ერთი წამყვანი კომპანია არის დაინტერესებული. ასევე არსებობს ინტერესი სასურსათო უსაფრთხოებისა და საკვების წარმოების სფეროებში ინვესტიციების მიმართულებით. სურსათის წარმოების მიმართულებით ჩვენი კომპანიები, რომლებიც დღეს აქ არიან წარმოდგენილი, არიან დაინტერესებული საკუთარი ბიზნესების გაფართოებით. ამასთანავე დაინტერესებული ვართ საპორტო ინფრასტრუქტურით, საბანკო სისტემით, ასევე ახალი სექტორებითა და ტექნოლოგიებით, რომელთა შესახებაც ბიზნეს საბჭოს ფორმატში ვისაუბრებთ და უფრო კონკრეტულ პროექტებს განვიხილავთ ორ ქვეყანას შორის. ჩვენ გვსურს ვიხილოთ ამ პარტნიორობის დაახლოება და მისი შემდეგ საფეხურზე გადასვლა“, - განაცხადა თანი ბინ აჰმედ ალ ზეიუდიმ, რომლის კომენტარსაც BPN ავრცელებს.

ამირან გურიელიძე

აჭარა 102 №28 (25.052) შაბათი, 18-20.03.2023



# „ჩვენ ვირჩევთ ცივილურ მეთოდებს ჩვენი ამბების მოსაყოლად“

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

*გვინინა მერისეა, პროფესიით ფილოლოგი, ევროპაში პირველი ქართული ინტერნეტ-ტელევიზია „მერანის“ ჟურნალისტია. იგი ემიგრანტებს არა მხოლოდ საინტერესო ამბებით უდგას გვერდით, არამედ მრავალ საჭირო ინფორმაციას აწვდის მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ, ასევე, უცხოელებს ჩვენს კულტურას აზიარებს. დღეს იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია.*



**- რამდენი ხანია, რაც მილანში ცხოვრობთ და თქვენთვის რა არის ემიგრანტობა?**

- წელიწადზე მეტია, რაც აქ ვარ და ჯერ ვერ ვგრძნობ ემიგრაციის იმ მხარეს, რასაც ადამიანები უცხოეთში განიცდიან, თუმცა ხშირად ვამბობ და აქაც ვიტყვი, რომ ემიგრაციის გზა ძალიან „მოპირკეთებულია“ ჩემთვის და ჩემ შემდეგ ჩამომსვლელთათვის. ამაში უდიდესი წვლილი იმ ადამიანებს მიუძღვით, რომლებიც ათეული წლებია აქ ცხოვრობენ და წარმოუდგენელი შრომა აქვთ ჩადებული, რომ თუნდაც მე ან ვინმე ჩემნაირმა თავი ემიგრანტად არ იგრძნოს. მათი ძალიან მადლიერი ვარ. გარდა ამისა, არ გტოვებს შეგრძნება, რომ მიუხედავად იმისა, ფიზიკურად აღარ ხარ საქართველოში, გულით და გონებით იქ უნდა იყო და ცალი ხელით მისი გამოჯანმრთელება შეძლო.

**- რას გულისხმობთ?**

- ჩვენი ქვეყანა დაუძლურებულია კონფლიქტების ომის, მრავალი იმედგაცრუების გამო, მას მეტის მოცემა არ შეუძლია. ახლა ჩვენი დროა, რომ დავუბრუნოთ ის ენერგია, რაც მას ძლიერ და შემდგარ სახელმწიფოდ აქცევს.

**- გაზეთ „აჭარის“ მკითხველს რას ეტყვით თქვენს მრავალმხრივ პროფესიულ საქმიანობაზე, რა მიზანს ემსახურებით მილანში?**

- ტელევიზია, ასოციაცია და ბიბლიოთეკა - სამი საქმე შევითავსეთ. ჩვენი უმთავრესი მიზანია, ვიყოთ იქ, სადაც ჯანსაღი და ძვირფასი ქართული საქმე კეთდება. რამდენად ბევრიც არ უნდა ვიყოთ უცხოეთში, საბოლოოდ ჩვენი რიცხვი მაინც ცოტაა. აქ უფრო მეტად ჩანს კარგიც და ცუდიც და თუ ვინმეს უფრო მეტ დადებითს აჩვენებ, არ შეიძლება, მან არ „მოგბაძოს“. განსაკუთრებით ფასეული მაინც ქართული ბიბლიოთეკაა. ჩვენთვის აქ ქართული წიგნი გაცილებით ღირებულია, მიზანი კი ძალიან მარტივი და შეიძლება ბანალურიცაა: ჩვენი თანამემამულეების გვერდით ვიდგეთ, როცა ვჭირდებით.

**- ახსენეთ ტელევიზია, ასოციაცია და ბიბლიოთეკა... თითოეულ მათგანზე რას გვეტყვით?**

- კულტურული ასოციაცია „მერანის“ ბაზაზე დაფუძნდა როგორც ბიბლიოთეკა, ისე ტელევიზია. ჩემმა დედობილმა საკუთარი სახსრებით დააარსა ორივე. ახლა ერთად ვაგრძელებთ ამ საქმიანობას. ვმართავთ უამრავ ქართულ-იტალიურ ღონისძიებას, სადაც უცხოელებს ჩვენს კულტურას ვაცნობთ. გარდა ამისა, ჩვენივე საცხოვრებლის ერთ ოთახს ბიბლიოთეკასაც ვუთმობთ, საიდანაც წიგნის გატანა უფასოა. ტელევიზიაც კი ჩვენს სახლადაა გადაქცეული. ვინც ამ საქმეს კარგად იცნობს, აუცილებლად მიხვდება, რამდენ სირთულესთანაა დაკავშირებული ყოველდღიურ რეჟიმში ახალი ამბების ეპიცენტრში ყოფნა.

**- თქვენ ქმნით სივრცეს, სადაც ემიგრაციაში მყოფი თანამემამულეები სულიერ საზრდოს პოულობენ, თუმცა ეს ყველაფერი მოითხოვს დიდ შრომას და თქვენს ძვირფას დროს... როგორ ახერხებთ ამდენი საქმიანობის შეთავსებას და ხარისხიანად მიწოდებას?**

- გეთანხმებით, უდიდესი დრო მიაქვს. ზოგჯერ ტირილამდე ვიღლებით და ვფიქრობთ, რომ „ხვალ“ აღარ გვექნება, თუმცა ვიღვიძებთ, აღმოვაჩენთ, რომ მთელი ღამე კვლავ ამ საქმეზე ვფიქრობდით და დილით იწყება ყველაფერი ახლიდან. ამის ენერგიას ადამიანები გვაძლევენ. ვიღაცისთვის მნიშვნელოვანია ჩვენი არსებობა, ძვირფასია იმის გააზრება, რომ ვიღაცას სადღაც ეგულები. რაც მთავარია, ჩვენთან ნეგატივს ვერ იპოვით და სწორედ აქ ვაწყდებით სირთულეს. ბედნიერი ამბების შეგროვება მარტივი სულაც არაა, მაგრამ ადამიანს, მით უმეტეს, ემიგრანტს, არ სჭირდება კიდევ მეტი სადარდებელი. ვცდილობთ, მათთვის ნუგეში ვიყოთ, გავამხნევოთ და დავაიმედოთ.

**- Merani TV თქვენთვის რა არის?**

- მოქმედება და მიზანი.

**- როგორი შეგრძნებაა, როდესაც უცხო მიწაზე ვიღაცისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თქვენი არსებობა?**

- ძალიან ძვირფასი შეგრძნებაა. მე უზომოდ ემოციური ადამიანი ვარ და გულწრფელად გეუბნებით, რომ ძალიან ვხარობ, თუკი ვიღაცას ვეგულებით. ჩვენ ვცდილობთ, ემიგრაციას არა მხოლოდ საინტერესო ამბებით ვედგეთ გვერდით, არამედ მრავალ საჭირო ინფორმაციას ვაწვდით მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ, სწორედ ამას ემსახურება გადაცემა „მიგ.რაცია“, რომლის მეშვეობითაც მსოფლიოში მიმოფანტული სხვადასხვა პროფესიის ემიგრანტები გვაწვდიან დოკუმენტურ მასალას ლეგალური ცხოვრებისა და მუშაობის თუ ნებისმიერი სხვა უფლების შესახებ.

**- თქვენთვის რა არის ლიტერატურა და რაში გეხმარებათ წიგნი?**

- წიგნი ადამიანის თვითგანვითარების ყველაზე ძლიერი იარაღია. რაც უფრო მეტს ვკითხულობთ, მით უფრო რთულია ჩვენი მოტყუება, რადგან უკვე შეგვიძლია გავარჩიოთ ნამდვილი სიცრუისგან, პოლიტიკა - დანაშაულისგან, კულტურა - მარაზმისგან. ამიტომ მგონია, რომ არ უნდა გავჩერდეთ. პროგრესი უწყვეტი უნდა იყოს.

**- რა აკავშირებს გვინინა მერისეას და პოეზიას ერთმანეთთან და რა არის თქვენი შთაგონების წყარო?**

- პოეზიამ შექმნა გვინინა მერისეა როგორც პიროვნება ამ სახელით და გვარით. ეს ისაა, რამაც ჩემს სულში ძალიან ხანგრძლივი ვადით დაიდო ბინა და სწორედ ის ბერკეტია, რომელსაც ჩემი აზრისა და პოეზიის დასაფიქსირებლად ვიყენებ. ჩემი შთაგონების წყარო ის გზაა, რომელიც გავიარე, თუმცა წარსულზე მეტად მომავალი შთამაგონებს. მჯერა, რომ იმაზე ბევრად შრომატევადი საქმე მელის წინ, ვიდრე წარმომედგინა. კალამი ისევე, როგორც ფუნჯი, უბრალოდ დამხმარე საგნებია, რომ შიშველი ხელებით არ იბრძოლო.

**- რა ასაკიდან დაიწყეთ წერა, ხატვა და რას წაგვიკითხავთ საკუთარი პოეზიიდან?**

- ჩემი ბავშვობა წერისა და ხატვის გარეშე არ მახსენდება. თითოეულ ეპიზოდში სადღაც მინდორში ვზივარ ჩემთვის, ვხატავ და მთელ ჩემს ემოციას მასში ვდებ. ჩემი ყველა სიხარული თუ წყენა მთლიანად ხელოვნებაში გადამაქვს. რაღაცნაირად შევძელით კიდეც, ლექსების სამი კრებული გამოგვეცა, თუმცა ამ პოეზიამ ალბათ, ჩაიარა. ვფიქრობ, მომავალში სათქმელს მებრძოლი ქალებისთვის ვიტყვი, ჩემი შემოქმედება ხომ ისედაც მათზეა - ჩემზე და ჩემნაირებზე...

*ცავ და*
*ჭალა-ჭალა,*
*ყანებ-ყანებ,*
*ბერი ფუძეს ცავდა,*
*ყველზე ჭადი გამითავდა,*
*მომიტანე, ცავ და.*
*ბეღელ-ბეღელ,*
*ნალიაში ნისლი*
*ყორებს წნიდა,*
*წვიმდა ბუხრის საკვამურში,*
*აბდალივით წვიმდა*
*და წვეთები ისუსხვიდნენ*
*თეძოს ჯინჭრის ფოთლებს,*
*ფანჯარაში მამა ცავდა*
*ძვლებგაპოხილ სოფელს.*
*მერე ბალახ, მერე ბულახ,*
*მერეც კიდევ ცრიდა,*
*ვაშლის ძირში ობოლ ტალახს*
*ქუსლი აეკიდა.*
*მოდიოდა ბილიკებზე*
*სუნი ძველი ოდის,*
*ღმერთო, ჭრაქს რომ ვანათებდი,*
*იმ დღეს რად არ მოდი,*
*ღამით რად არ მოდი, ღმერთო,*
*მე რომ სისხლფერ კაბას*
*მისწორებდა სხვისი დედა,*
*მცავდა სხვისი ბაბა.*
*ღელე-ღელე*
*წნელის მკერდში*
*სუსხი კერტებს წოვდა,*
*მე ვიდექი სახლის წინ და*
*არაფერი მქონდა.*
*გარდა მთის და გარდა მიწის,*
*არც არავინ მყავდა,*
*ჩემო ღმერთო, სად იყავი,*
*სხვა ღმერთი რომ მცავდა.*

**- როგორ და სად გესახებათ თქვენი მომავალი?**

- ყველგან, სადაც შევძლებ ჩემი ქვეყნის ინტერესების დაცვას, სადაც ვიტყვი, ვინ ვარ, საიდან ვარ და როგორი მინდა ვიყო იმისთვის, რომ ჩემი და სხვისი მომავლის შექმნაში წვლილი შევიტანო. ჩემი იტალიაში ცხოვრების გადაწყვეტილება საუკეთესო არჩევანი იყო და ამავდროულად, უზარმაზარი პასუხისმგებლობა, რადგან ყველაფერი კარგი, რასაც აქ ვხედავ, მინდა ჩემიანს ვასწავლო. არ არის ადვილი, თუმცა შენთვის შეკეტილ ყოფნას - არც სწავლობდე და არც სხვას ასწავლიდე, ცხადია - სჯობს.

**- როგორც ვიცით, საქართველოში მიმდინარე პროცესების პარალელურად, მილანში, დუომოზე ქართველი სტუდენტების მიერ ორგანიზებულ აქციაში, სახელწოდებით „საქართველოს ევროინტეგრაციისთვის“, თქვენც მონაწილეობდით... უკვე უკან გაწვეულ კანონპროექტში რა საფრთხე დაინახეთ, რამაც გაგიყვანათ აქციაზე?**

- უკრაინის ომის დაწყების დღიდან ჩვენ ძალიან ხშირად ვართ დუომოზე, ვმონაწილეობთ ნებისმიერ მანიფესტაციაში, სადაც მნიშვნელოვანია, საღი აზრი ისმოდეს. იქ ვართ არა მხოლოდ ტელევიზია, არამედ ცალკეული მოქალაქეები, სტუდენტების ჩართულობა კი ჩვენი შრომისა და პროტესტის თვალსაჩინო შედეგი იყო. უკვე დიდ ძალად ვიქეცით, რომელიც აუცილებლად გააგონებს ხმას მთელ მსოფლიოს, რომ ჩვენ ვარსებობთ და გვინდა სიმშვიდესა და თავისუფლებაში გავაგრძელოთ ცხოვრება.. ჩემთვის ამ ბავშვების აქ არსებობა ძლიერი ხერხემალია. დავძლიე შიში და ვიცი, რომ მარტო არ ვარ განსხვავებული იდეების მქონე ადამიანებში. მათი იმედი მაქვს, რადგან ჩვენ ერთი მიზანი გვაერთიანებს - გვქონდეს დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო!

ეს კანონი, პირველ რიგში, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს უქმნის საფრთხეს მაშინ, როდესაც როგორც იქნა, ჩვენი ქვეყანა ასპარეზზე გამოვიდა და რუსეთის პროვინციად აღარ მოვიაზრებით, რადგან, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ასე გვიცნობენ.

**- რის საფუძველზე ამბობთ, რომ კანონპროექტი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს უქმნიდა საფრთხეს?**

- პირველ რიგში, ეს კანონპროექტი ჩვენს უფლებათა ევროპულ კონვენციას არღვევს. კანონის არასწორი ინტერპრეტაციის მრავალი მაგალითიც გვექნება, რადგან არ მჯერა ამ სისტემის გამჭვირვალობის. სამოქალაქო საზოგადოების შესუსტების მცდელობა არის იმის დასტური, რომ ჩვენ მოვექცევით დიქტატორულ რეჟიმში, რასაც ვერ დავუშვებთ, რადგან ჩვენს სახელმწიფოში დემოკრატია ჯერ კიდევ არაა ისეთი მყარი. ამიტომ სამოქალაქო შეგნება გვავალდებულებს, ჯანსაღ პრიორიტეტებზე ვკონცენტრირდეთ და არა ისეთ კანონებზე, რომლის ღერძი წარსულში უკან დაბრუნებაა.

**- აქციაზე ძალიან საინტერესო წარწერებით იყავით, ერთ-ერთი ჟღერდა შემდეგნაირად: „მე ვარ დამოუკიდებელი საქართველოს ჟურნალისტი და არა - Журналистка“...**

- ჩემი მთავარი სათქმელი სწორედ ისაა, რომ ცენზურის დრო დამთავრდა. ადამიანის ყველაზე დიდი შინაგანი კულტურა სხვისი სიტყვის მიმართ პატივისცემაა, რითაც ავტომატურად საკუთარ თავს სცემს პატივს. საკმარისია, რაც მოვყევით მიწისქვეშეთიდან. უკვე სიმაღლეზე ამოვედით და შეგვიძლია, თამამად ვისაუბროთ იმაზე, რაც გვაწუხებს, რაც გვიხარია. ნამდვილად ვერ დავუშვებ, სხვისი კარნახით დაწერილი ტექსტი წავიკითხო, თუკი ის ჩემს ღირებულებას არ ემთხვევა, თუ ის ჩემი აუდიტორიის კეთილდღეობისკენ არაა მიმართული.

**- რას გვეტყვით თქვენს თაობაზე?**

- ჩემი თაობა ძალიან თამამია, ზოგჯერ ზედმეტად ხისტები ვართ, თუმცა ეს ხდება მაშინ, როდესაც გვეხებიან. ჩვენ არავის ვავიწროებთ. სხვისი ცხოვრების ჩვენს ცხოვრებასთან გადაკვეთა არ ხდება. პატივს ვცემთ ჩვენი იდეოლოგიისთვის მიუღებელ ადამიანებსაც კი, ამიტომ საზოგადოებისგანაც იმავეს ვითხოვთ. როგორ წარმოგიდგენიათ, მე საკუთარი სახლი კარგად მოვიწყო და მოხუცი მშობელი გარეთ დავტოვო იმიტომ, რომ მას სახლის რეკონსტრუქციის იდეა არ მოსწონდა? ჩვენ ყველა ერთი დიდი ოჯახი ვართ. ჩვენ მთელი ერის სიძლიერისთვის, მშვიდობისა და ჯანსაღი სამოქალაქო ცხოვრებისთვის ვიბრძვით.

**- თქვენ სოცქსელში გამოაქვეყნეთ აქციაზე გადაღებული ვიდეო, სადაც ხელში გიჭირავთ ულამაზესი ნახატი. გოგონა უკრაინის დროშის ფერებში, წარწერით „FREEDOM IS MY HOME“, ვიდეო კი დასათაურებული გაქვთ ასე: „ჩვენ კიდევ ბევრს და ბევრჯერ მოვყვებით საქართველოზე“. რას გულისხმობთ?**

- ეს ფერადი გოგონა უკრაინის დროშის ფერებში, ჩემი ნახატია. სხვათა შორის, ფრთაზე წარწერა აქვს უკრაინის ჰიმნიდან: „სულს და სხეულს გავცემთ ჩვენი თავისუფლებისთვის“. მტკივნეულია, როცა გზღუდავენ. მე ეს ვიცი, საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, ამიტომ არ შემიძლია, მშვიდად ვუყურო ჩემი ერის დაუძლურების მცდელობას. მოსაყოლი ნამდვილად ბევრია საქართველოზე და ამის ვალდებულებას ვგრძნობთ ჩვენი ქვეყნის წინაშე, თუმცა სწორედ იმიტომ, რომ განვითარების უმაღლეს დონეზეა მთელი სამყარო, ჩვენ ვირჩევთ ცივილურ მეთოდებს ჩვენი ამბების მოსაყოლად. საქართველო იმსახურებს, მსოფლიომ იცოდეს მის შესახებ. ევროპული ფასეულობები კი მუდამ იყო ჩვენს ერში. თუმცა ახლა შესაძლებლობების არეალი გაფართოვდა და ჩვენ კიდევ უფრო მეტი უნარი გვაქვს მსოფლიოსთან საკომუნიკაციოდ.

**- რა განაპირობებს ქვეყნის წარმატებას და კეთილდღეობას?**

- ერთიანობა და ურთიერთპატივისცემა, ის, რომ შეიძლება მე არ მომწონდეს სხვისი ცხოვრებისეული მორალი, თუმცა აუცილებლად პატივს ვცემდე და მის გვერდით ვიდგე, როდესაც ამის საჭიროება აქვს და ახლა ამის აუცილებლობა არის მთელს ერში. ძალიან ძლიერები უნდა ვიყოთ.

***„ჩემი თაობა ძალიან თამამია, ზოგჯერ ზედმეტად ხისტები ვართ, თუმცა ეს ხდება მაშინ, როდესაც გვეხებიან. ჩვენ არავის ვავიწროებთ. სხვისი ცხოვრების ჩვენს ცხოვრებასთან გადაკვეთა არ ხდება. პატივს ვცემთ ჩვენი იდეოლოგიისთვის მიუღებელ ადამიანებსაც კი, ამიტომ საზოგადოებისგანაც იმავეს ვითხოვთ. როგორ წარმოგიდგენიათ, მე საკუთარი სახლი კარგად მოვიწყო და მოხუცი მშობელი გარეთ დავტოვო იმიტომ, რომ მას სახლის რეკონსტრუქციის იდეა არ მოსწონდა? ჩვენ ყველა ერთი დიდი ოჯახი ვართ. ჩვენ მთელი ერის სიძლიერისთვის, მშვიდობისა და ჯანსაღი სამოქალაქო ცხოვრებისთვის ვიბრძვით***

# პროექტები შეარჩიეს

***„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ბიუჯეტით, უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში, მიმდინარე წელს, 92 ათასი ლარია მობილიზებული. ეს თანხა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, 8 სოფელზე გადანაწილდება. გოგაძეებში, ტბეთში, ჯაბნიძეებში, წაბლანაში, მოფრინეთში, სამოლეთში, ლაკლაკეთსა და ცინარეთში განსახორციელებელი პროექტების შერჩევისთვის მეკომურთა კრებები გაიმართა.***

გარე განათების მოწყობა, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების მოწესრიგება, შიდა სასოფლო გზების ზამთრის ნარჩენებისგან გაწმენდა, სანიაღვრე არხების გაკეთება ის პრიორიტეტებია, რომლებიც სოფლებში მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით შეარჩიეს.

უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში გამართულ კრებებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერის პირველი მოადგილე მირიან აბაშიძე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები ედნარ კეჟერაძე, თენგიზ ივანაძე და მერიის პასუხისმგებელი მუშაკები ესწრებოდნენ.

კრებებზე მოსახლეობის წინადადებებს მხარი დაუჭირეს და სოფლების წინაშე არსებულ პრობლემებზეც ისაუბრეს. აზრთა სხვადასხვაობა იყო სამოლეთში გამართულ კრებაზე. ისიც ითქვა, რომ ადრე უხარისხოდ გაკეთებული გაბიონის



გამო სოფლებში მისასვლელი საავტომობილო გზა ჩაკეტილია და 5 სოფლის მოსახლეობა შემოვლითი გზით სარგებლობს.

სამოლეთის ცენტრში რამდენიმე წლის წინ გაკეთებული „სოფლის სახლი“ და საზოგადოებრივი სარგებლობის სველი წერტილი თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები სამოლეთელებს სოფლის ცენტრის კეთილმოწყობას შეჰპირდნენ.

- მიმდინარე წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ბიუჯეტი 628 000 ლარს შეადგენს. შეხვედრები, ეტაპობრივად, ყველა სოფელში იმართება. უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში საინტერესო და შინაარსიანი კრებები ჩატარდა. მოსახლეობამ ისეთი პროექტები აირჩია, რაც სადღეისოდ, აქტუალურია. მათ სხვა საკითხებში ჩართულობა მოგვთხოვეს, რაც პერიოდულად განხორციელდება. კვირიაულის დასახლებაში მნიშვნელოვანი თანხების მობილიზებას და საჩვენებელი ცენტრის მოწყობას ვაპირებთ. 200 ათასი ლარია მობილიზებული სამოლეთის ცენტრის მოწყობის მიზნით. ცინარეთის ცენტრის მსგავსად მოეწყობა სოფელ წაბლანის ცენტრიც, - თქვა ომარ ტაკიძემ.

# «მოხალისეობა» - ოჯახებში

***ხიჭაურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის კლუბი «მოხალისეობა» ფასილიტატორი პედაგოგის ნინო ქათამაძისა და სკოლის დირექციის თანადგომით, იუსაიდის პროგრამის ფარგლებში, რიგ აქტივობებს ატარებს. «მოხალისეობის» 26 წევრი ეხმარება სოციალურად დაუცველ ოჯახებს, მარტოხელა დედებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. მათ სამოქმედო ტერიტორიაზე დააზუსტეს ის ოჯახები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ***

პრაქტიკული საქმეების დაწყებამდე, პროექტში ჩართვა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელებსა და წევრებს სთხოვეს. საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, «მოხალისეობის» წევრების ისტორიის მასწავლებელი, საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ტაკიძე, პედაგოგი ნინო ქათამაძე, თვითმმართველობის თავმჯდომარე ნინო გოგიაშვილი, სამოქალაქო კლუბის თავმჯდომარე გიგა ნუგზარის ძე ბერიძე, თვითმმართველობის წევრები - ლიზა ტარიელაძე, ოთარ ტაკიძე, საბა ქამადაძე, გიგა ბერიძე სოფელ ცივაძეებში რაულ და მაგული ცივაძეების მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახში მივიდნენ. რაული 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეა. ის და მაგული ოთხი სასკოლო ასაკის შვილის მშობლები არიან, მათ შორის ტყუპი გოგონების. «მოხალისეობის» წევრებმა მოსწავლეებს სასკოლო ნივთები გადასცეს, ხოლო საკრებულოს ხელმძღვანელებმა - საქველმოქმედო ფონდიდან მობილიზებული თანხით შეძენილი სასურსათო პროდუქტები.

- მარტის ეს დღე ჩვენს ოჯახს კეთილ მოგონებად დარჩება. გაგვახალისეს მოსწავლეებმა და მათმა პედაგოგმა. ჩვენთვის ეს მხარდაჭერაა მთავარი. მჯერა, «მოხალისეობის» წევრები პროექტის ფარგლებში კიდევ მრავალ სიკეთეს გააკეთებენ, - გვითხრა მაგული ცივაძემ.

ტაკიძეებელი თამარ ჭაღალიძე-ტაკიძეს შარშან თოვლმა საცხოვრებელი სახლი დაუზიანა. შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა მარტოხელა დედა ნაქირავებ ბინაში გადაიყვანა. თამარს მოხალისეები ოჯახში ეწვივნენ და საყოფაცხოვრებო ნივთები, სასურსათო პროდუქტები მიუტანეს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დედაა ზედაყანის უბანში მცხოვრები მაგული გეგიძე-კეკელიძე. მას ერთი ტომარა ხორბლის



ფქვილი, სხვა სასურსათო პროდუქტები გადასცეს.

- USAID-ის პროგრამაში ჩვენ შარშან ჩავერთეთ, - გვითხრა ნინო ქათამაძემ, - «მოხალისეობის», მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სამოქალაქო კლუბის წევრებმა მრავალ სიახლეს, ინიციატივას დაუდეს სათავე. აპრილში კიდევ ერთი აქცია გვაქვს ჩაფიქრებული - «დედამიწის დღეს» სკოლის მიმდებარე ტერიტორიას მოვაწესრიგებთ. მოსწავლეები ხეებსა და ბუჩქებს დარგავენ. ვსარგებლობ შემთხვევით და შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელობას, თქვენ გაზეთს მადლობას ვუხდი თანადგომისა და მხარდაჭერისთვის.

# 7 ქალბატონი – რეზერვისტთა რიგებში

***პოეტი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ხულოს კულტურის ცენტრის მთავარი სპეციალისტი ნანა შაინიძე, სტუდენტები: თამარ გორგილაძე, ანა ბოლქვაძე, მარიამ აბაშიძე, ცირა ღორჯომელაძე, ბაგა-ბაღის ფსიქოლოგი მზიური ქედელიძე, სხალთის საჯარო სკოლის პედაგოგი ლელა ბასილაძე ქართული ჯარის რეზერვისტები არიან***

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, ხულოს



მუნიციპალიტეტში მცხოვრებ რეზერვისტ ქალბატონებთან შეხვედრა გაიმართა. მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, ხულოს მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ნარგიზ დეკანაძემ, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანზორ ბოლქვაძემ, მერიის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსმა რამინ მეხეშიძემ, ქართული ჯარის ოფიცრებმა გიორგი კამკამიძემ, გიორგი ტყემალაძემ, სერჟანტებმა გიორგი გაგიევმა, თენგიზ კეკუტიამ ქართული ჯარის შენებისა და ამ საქმეში დედისა და ქალების როლზე ისაუბრეს. სტუდენტებიდან შეხვედრას თამარ გორგილაძე ესწრებოდა.

- რეზერვისტთა რიგებში ხულოს მუნიციპალიტეტიდან 7 ქალბატონი ირიცხება.

ეს დასაწყისია. გვაქვს იმედი, რომ მომავალში მათი რაოდენობა მოიმატებს, - თქვა ვახტანგ ბერიძემ.

# შალვა თურმანიძე გინესის რეკორდისთვის ემზადება

**ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, 73 წლის შალვა თურმანიძემ საზოგადოების ყურადღება თავისი უცნაური ჰობით მიიპყრო. ამაზე თავად გვესაუბრება**

- ვისაც სოფლის ქორწილები ახსოვს, იმასაც გაიხსენებს, რომ ზოგიერთი მოცეკვავე თავსა და იდაყვებზე დაყრდნობით, «განდაგანას» მოძრაობებს ასრულებდა. გამონაკლისი არც მერისის ხეობის სოფლები იყო. მაყარი და მასპინძელი ერთმანეთს ცალკეული ილეთების წარმოჩენასა და შესრულებაშიც ეჯიბრებოდნენ. ფიზიკური აღნაგობა, ძლიერი მკლავები საფუძველს მაძლევდა, მეც მეცადა თავსა და იდაყვებზე დაყრდნობით ცეკვა. პირველივე ცდა შედეგიანი აღმოჩნდა, თანაც, 30 წლის ასაკში. თავდაპირველად, 2-3 წუთს ძლივს ვძლებდი. გადავწყვიტე, დრო გამეხანგრძლივებინა და დავიწყე ვარჯიში. 60 წლის ასაკში 25 წუთამდე ავედი... დღეს უკვე «ათლეტ-ფენომენის» სახელით მიცნობენ. ჩემი რეკორდი 40 წუთია. ეს მიღწევა პირველად სატელე-



ვიზიო გადაცემა «ნიჭიერში» დავაფიქსირე. ათლეტური ნომრის ავტორად მაღიარეს.

**- ვისგან წამოვიდა იდეა, რომ თქვენი მიღწევა გინესის რეკორდის მოსაპოვებლად წარგედგინათ?**

- სპეციალობით ავტოინჟინერი ვარ. პროფესიული განათლება უკრაინის რესპუბლიკის ქალაქ ხარკოვში მივიღე. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის წევრი რომ გავხდი, თანაკურსელებმა, მეგობრებმა მირჩიეს, ჩემი მიღწევა დელსა და ლონდონში მსოფლიო სარეკორდო მოძრაობის ცენტრებში გაგვეგზავნა. სხვათა შორის, თავსა და იდაყვებზე დაყრდნობას ინდოეთში, ნეპალსა თუ ჩინეთში მრავალი მიმდევარი ჰყავს. მათი რეკორდებიც მონიშნულია, მაგრამ 40 წუთი, ჯერჯერობით, მხოლოდ მე დავძლიე. იმედი მაქვს, ჩემს მიღწევას სათანადო შეფასება მიეცემა, ასაკსაც ხომ აქვს მნიშვნელობა.

**- კიდევ რაიმე სიურპრიზს ხომ არ გვიმზადებთ?**

- გაგიმხელთ, რომ ამ დღეებში კარუსელზე თავითა და იდაყვებით დადგომას ვაპირებ. რთულია. რამდენ წუთს გავუძლებ, წინასწარ ვერ გეტყვით. დიდი სიფრთხილეცაა საჭირო. ასევე, ჩაფიქრებული მაქვს, მოძრავ ავტომანქანას დავეყრდნო თავითა და იდაყვებით და სტადიონს შემოვუარო. ესეც დიდ რისკთანაა დაკავშირებული, თუმცა მცდელობა უკვე მქონდა.

**- ამ ასაკში მარტო ამ საქმეებით ხართ დაკავებული?**

- სოფელი დიდი ხანია დავტოვე. მამისეულ ეზოს ახლა ძმისშვილი უვლის. გამორჩეულად მიყვარს მერისის ხეობა, მშობლიური სიხალიძეები. «მერისობის» დღესასწაულსაც ვესწრებოდი. წლების განმავლობაში ბათუმში სპეციალობით ვმუშაობდი. რამდენიმე წლის წინ შპს «საჭესთან« დავაფუძნე და მისი დირექტორი ვარ, 12 ადამიანი მყავს დასაქმებული. ორი შვილის მამა, ოჯახს ხელს არ ვაკლებ. მეუღლის მანანა თედორაძის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახის ტვირთის ზიდვა მე ვითავე. ასეთი დატვირთვისა და ასაკის ფონზე, ვარჯიშს დღეში 2-3 საათს ვუთმობ, ფიზიკური მდგომარეობაც ხელს მიწყობს. კარუსელსა და ავტომანქანაზე თავითა და იდაყვებით დაყრდნობა რომ დავიწყე, ვარჯიშის ხანგრძლივობა გავზარდე.

**- პროფესიული განათლება უკრაინაში მიიღეთ. ამ ქვეყანასთან, იქაურებთან ურთიერთობას თუ აგრძელებთ?**

- სტუდენტობის წლებში შეძენილი მეგობრები ბევრი მყავს. ერთი მათგანი რუსეთ-უკრაინის ომმა შეიწირა. სოლიდარობას, თანადგომას ვუცხადებ იმ ერს, რომელიც რუსულ აგრესიას უპირისპირდება. შპს «საჭესთან» მატერიალურადაც დაეხმარა უკრაინელებს. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველო საომარ მოქმედებაში ჩაერთოს. რაც მოგვიტანა 2008 წლის აგვისტოს ომმა, ყველამ კარგად ვიცით. სჯობს საკუთარ ქვეყანას მივხედოთ, რაც დაგვრჩა ისიც აღარ დავკარგოთ. ვეთანხმები იმ პოლიტიკოსების მოსაზრებას, რომლებიც ცდილობენ საქართველო კავკასიის რეგიონში მშვიდობის დესპანად გადააქციონ. ჩვენ პატარა, მაგრამ დიდი პოტენციალის, ნიჭიერების მქონე ერი ვართ და ეს ნიჭი, უნარი სასიკეთო საქმეებს უნდა მოვახმაროთ.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

# ჯეიმს კლევერლი: საქართველო არის ჰიბრიდული თავდასხმების სამიზნე



საქართველოში ვიზიტით მყოფმა გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიმს კლევერლიმ მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან შეხვედრისას იმ გამოწვევებზე ისაუბრა, რომელთა დასაძლევადაც ოფიციალურმა ლონდონმა საქართველოს ფინანსური დახმარება გამოუყო. მისივე თქმით, გაერთიანებული სამეფო მიზნად ისახავს, დაეხმაროს საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პროცესში და ამ ორგანიზაციებთან ახლო ურთიერთობის შენარჩუნებაში.

„ახლახან დავბრუნდი ადგილიდან, სადაც მოვინახულე საზოგადოება, რომელიც ორად არის გაყოფილი. რუსული ჯარი ხეობის ერთ მხარესაა, ასე რომ ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ რუსული ჯარის ფიზიკური წარმომადგენლობა აქ - საქართველოში. იმგვარ კონფლიქტს, რა თქმა უნდა, აღარ ვხედავთ, როგორც ეს წინა წლებში იყო, თუმცა საქართველო არის ჰიბრიდული თავდასხმის სამიზნე. ჩვენ ვიცით, რომ არის კიბერთავდასხმები და გვსურს, საქართველოს დავეხმაროთ, თავი დაიცვას კიბერთავდასხმებისგან. ვიცით, რომ ადგილი ჰქონია საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციებს, ასევე ვიცით, რომ ყოფილა საქართველოს პოლიტიკური გარემოს დამძიმების მცდელობები და, რა თქმა უნდა, იყო დიდი რაოდენობით პროპაგანდა. აქედან გამომდინარე, გვსურს, მხარი დავუჭიროთ თავისუფალ მედიას, გვსურს მხარი დავუჭიროთ საქართველოს, შეინარჩუნოს ინსტიტუტების დამოუკიდებლობა, ვგეგმავთ დავეხმაროთ მას კიბერთავდასხმებისგან თავდაცვაში და ასევე, ვაპირებთ გავაგრძელოთ, დავეხმაროთ მას ევროპასთან, ევროკავშირთან და ნატოსთან ახლო ურთიერთობის შენარჩუნების გზაზე“, - განაცხადა გაერთიანებული სამეფოს პირველმა დიპლომატმა. მან მედიადამოუკიდებლობის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება.

„მე განვიხილე მედიათავისუფლების მნიშვნელობა, აღვნიშნე, რომ ეს თავდაჯერებული ხელისუფლების ნიშანია და ეს არის მაღალფუნქციური დემოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომ თქვენ გქონდეთ კონკურენტული პოლიტიკური ლანდშაფტი, თავისუფალი, სამართლიანი და ღია საზოგადოება, რომ მედია თავისუფლება მნიშვნელოვანია. ეს არის ის საკითხები, რომლებიც განვიხილეთ. სწორი არ იქნება ჩემი მხრივ კონკრეტული პირების საქმეებზე კომენტარი გავაკეთო, მაგრამ მე აღვნიშნე, რომ დამოუკიდებელი სასამართლო, გამჭვირვალე სამართლებრივი პროცესი არის ის, რასაც ყველა სახელმწიფო უნდა ესწრაფოდეს და საქართველომაც უნდა დაუჭიროს ამას მხარი. გაერთიანებულ სამეფოს სურს ნახოს ძლიერი, ღია, სამართლიანი დემოკრატია საქართველოში, რომელიც სულ უფრო მეტად ინტეგრირებული ხდება მის მეგობრებთან ევროპის მასშტაბით. ჩვენ განვიხილეთ საუკეთესო გზები, რომლითაც ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს, რათა ხელი შეუწყოს ინტეგრაციას ევროკავშირში, ნატოში და გააგრძელოს მუშაობა გაერთიანებულ სამეფოსთან“, - განაცხადა ჯეიმს კლევერლიმ.

**ამირან გურიელიძე**

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანით გადაქაჩვები იზრდება, თუმცა...

იანვარ-თებერვალში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTJ) მილსადენით ტრანსპორტირებული ნავთობის მოცულობამ 4,629 მლნ ტონა შეადგინა, რაც შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8,2%-ით მეტია. ამის შესახებ „ინტერფაქს-აზერბაიჯანს“ სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტში განუცხადეს. ამ პერიოდში აზერბაიჯანის მაგისტრალური ნავთობსადენებით გადაზიდულ მთლიან მოცულობაში BTJ-ის მილსადენის წილი 76,5%-ია. რაც შეეხება სატრანზიტო ნავთობს, 2022 წლის იანვარ-თებერვალთან შედარებით, BTJ-ის გავლით მისმა მოცულობამ 21,8%-ით მოიკლო და 626,7 ათასი ტონა შეადგინა.

შარშან BTJ-ის მილსადენით გადაქაჩული ნავთობის მოცულობა 29,750 მლნ-მდე ტონა იყო, რაც 2021 წელზე 12,6%-ით მეტია, აქედან 5,104 მლნ ტონა სატრანზიტო ნავთობზე მოდიოდა, რომლის მოცულობამაც, 2021 წელთან შედარებით, 41,8%-ით მოიმატა.

ამჟამად BTJ-ის მილსადენით აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოების ბლოკის ნავთობი, შაჰდენიზის კონდენსატი და SOCAR-ის კუთვნილი ნედლეული გადაიქაჩება. ამ მილსადენში კასპიის ზღვის რეგიონის სხვა ქვეყნების ნავთობიც გაედინება.

BTJ-ის ნავთობსადენის სიგრძე 1768 კმ-ია. აქედან 443 კმ აზერბაიჯანის, 249 კმ - საქართველოს, ხოლო 1076 კმ თურქეთის ტერიტორიაზე გადის. მილსადენის გამტარუნარიანობა წელიწადში 50 მილიონ ტონა ნავთობს აღემატება.

BTC Co-ს აქციონერები არიან: BP (30,1%), SOCAR (25%), MOL (8,9%), Equinor (8,71%), TPAO (6,53%), ENI (5%), Itochu (3,4%), ExxonMobil (2,5%), INPEX (2.5%), TotalEnergies (5%) და ONGCVidesh (2,36%).

**ამირან გურიელიძე**

## მილოცვა

# ნანა სტამბოლიშვილს



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ევროპეისტიკის დეპარტამენტი ღვაწლმოსილ პროფესორს, ქალბატონ ნანა სტამბოლიშვილს გულითადად ულოცავს საიუბილეო თარიღს - დაბადებიდან 75 და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს.

ქალბატონი ნანა მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიის და სახელმძღვანელოს ავტორია („შესავალი გერმანიკულ ფილოლოგიაში“, „გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“), ამჟამად კი მუშაობს „გერმანული ენის საქმიანი კომუნიკაციის ტერმინოლოგიის ლექსიკონზე“. წლების განმავლობაში პროფესიულად ვითარდებოდა და კვალიფიკაციას იმაღლებდა გერმანიის წამყვან, მათ შორის, ბერლინის უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე, გახლდათ გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის სტიპენდიატი. 2009 წლიდან მრავალენოვანი საერთაშორისო ასოციაციის, ხოლო 2010 წლიდან ევროპის ფრაზეოლოგიისა და პარემიოლოგიის EUROPHRAS-სა და საერთაშორისო ასოციაციის (FIPLV) წევრია. უკვე მრავალი წელია, ხელმძღვანელობს გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას. მას უდიდესი ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის გერმანული ენის პედაგოგებისა და სპეციალისტების მომზადებაში. გულისხმიერი და ჰუმანური ქალბატონი ყოველთვის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და დღესაც სტუდენტებისა და თანამშრომლების უდიდეს პატივისცემას იმსახურებს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ევროპეისტიკის დეპარტამენტი ულოცავს ქალბატონ ნანას ამ საიუბილეო თარიღს, დღეგრძელობას, კვლავაც ნაყოფიერ მუშაობას და წარმატებებს უსურვებს ღირსეულ პედაგოგს, რომელმაც უნივერსიტეტის კედლებში მრავალი წელი გაატარა. კვლავაც მუხლჩაუხრელად შრომობს და გამოირჩევა პროფესიის სიყვარულით, დიდი შრომისმოყვარეობით, დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობით!

**პატივისცემით,**

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,**
**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,**
**ევროპეისტიკის დეპარტამენტი**

## განცხადება

საქმე № 01-10/171

# დადგენილება

**საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ**

ქ. ბათუმი 13 მარტი, 2023 წელი

შპს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ (ს.კ. მოდავე მხარეთა შორის 2022 წლის 06 ივლისის „სესხის ხელშეკრულება №HEAD.0011173.003,“ (მუხლი 8.7.) საარბიტრაჟო დათქმის საფუძველზე, ერთპიროვნულად განვიხილე კერძოსამართლებრივი ხასიათის ქონებრივ დავაზე **„საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ“** დადგენილების მიღების საკითხი.

**საარბიტრაჟო მოსარჩელე:** შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალი“, ს.ნ. 445516102, დირექტორი მამუკა მიქელაძე. წარმომადგენელი: ადვოკატი არჩილ ჯორთმენაძე (პ/ნ 61006015254), თანახმად მინდობილობისა გაცემული ერთი წლის ვადით, 2023 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით.

**საარბიტრაჟო მოპასუხე:** შპს „ბათუმი 2019“, ს.კ. 445556158, დირექტორი, იგივე სოლიდარული თავდები ბესიკ დიასამიძე (პ/ნ 61001031474);

**დავის საგანი:** სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების მოპასუხეზე დაკისრება და საარბიტრაჟო მოსაკრებელის გადახდის დაკისრება.

***გამოვარკვიე:***

2022 წლის 30 ნოემბერს შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალის“ ს.ნ. 445516102 დირექტორის მამუკა მიქელაძის წარმომადგენელმა ადვოკატმა არჩილ ჯორთმენაძემ (პ/ნ 61006015254), შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“ შემოიტანა საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხის: შპს „ბათუმი 2019“-ის, ს.კ. 445556158, დირექტორის, იგივე სოლიდარული თავდების ბესიკ დიასამიძის (პ/ნ 61001031474) მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების და საარბიტრაჟო მოსაკრებელის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

***აღწერილობითი ნაწილი:***

2022 წლის 30 ნოემბერს **შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“** არბიტრმა როსტომ გუნთაიშვილმა მიიღო დადგენილება „საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების და არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის შესახებ“. არბიტრაჟის რამდენიმე მცდელობა მოპასუხეს ჩაბარებოდა საარბიტრაჟო სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, დასრულდა უშედეგოდ. ყველა დაზღვეული საფოსტო გზავნილები, იმ მისამართზე რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში, უკან დაბრუნდა.

2023 წლის 13 მარტს საარბიტრაჟო მოსარჩელის წარმომადგენელმა არბიტრაჟს მომართა შუამდგომლობით **„საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მოპასუხის საჯაროდ მოწვევის შესახებ“**, რაც დაკმაყოფილდა.

ვიხელმძღვანელე რა **„არბიტრაჟის შესახებ“** საქართველოს კანონის **მე-8; მე-16; 27-ე; 32-ე** მუხლებით და მუდმივმოქმედი **„არბიტრაჟის დებულების“ მე-13 მუხლის 1 და 6 პუნქტებით;**

***დავადგინე:***

1. სამოქალაქო საქმეზე, №01-10/171, საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხე, შპს „ბათუმი 2019“, ს.კ. 445556158, დირექტორი, იგივე სოლიდარული თავდები ბესიკ დიასამიძე (პ/ნ 61001031474) ან მისი უფლებამოსილი წამომადგენელი საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ჩასაბარებლად საჯაროდ მოწვეული იქნეს არბიტრაჟში;

2. განემარტოს საარბიტრაჟო მოპასუხეს, შპს „ბათუმი 2019“-ის, ს.კ. 445556158 (დირექტორი ბესიკ დიასამიძე) (პ/ნ 61001031474), იგივე სოლიდარული თავდები ბესიკ დიასამიძე (პ/ნ 61001031474), რომ წინამდებარე დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნებიდან შვიდი კალენდარული დღის განმავლობაში გამოცხადდეს **შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“** (ქ. ბათუმი, ახ. მელაშვილის ქ. №26, მე-3 სართული, საკ. ტელ: 577 78 19 77, 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე, დასვენების და უქმე დღეების გარდა), საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მისაღებად, წინააღმდეგ შემთხვევაში სარჩელი და თანდართული დოკუმენტები ჩაითვლება მოპასუხეზე ჩაბარებულად, საჯარო მოწვევის, საჯაროდ გამოცხადებიდან შვიდი კალენდარული დღის გასვლის შემდგომ.

3. საჯარო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „აჭარაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით.

4. არბიტრაჟის დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ არბიტრი როსტომ გუნთაიშვილი**

R

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»

პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»

მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2[ა]

ტელ: 27-13-31

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 17/03/23, 20[25] სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# „წერის დროს მხოლოდ ბავშვების სუფთა, კამკამა თვალებს ვხედავ“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ბათუმელებს (და არამარტო მათ) გამორჩეულად უყვართ საბავშვო მწერალი **დალი თედორაძე,** რომელმაც თავისი საინტერესო ზღაპრებით ბავშვების გულებისაკენ გაიკვლია გზა. ოცდახუთი წელია, ქალბატონი დალი ბათუმის თოჯინების თეატრში იღვწის, სადაც წარმატებით იდგმება მისი პიესები. ნაყოფიერად მუშაობს მის მიერ დაფუძნებული ბავშვთა შემოქმედებითი სტუდიაც, ასობით მკითხველი იწონებს მის ზღაპრებს, რომლებიც ლიტერატურულ ჟურნალებში ქვეყნდება. მწერალი დღეს გაზეთ „აჭარას“ თავის გულისნადებს უზიარებს.*



**- ბავშვობიდან მოვდივართ და მერე, როცა უკან ვიხედებით...**

- დიახ, ეს ყველაზე ლამაზი, ყველაზე ნათელი წლებია ჩვენი ცხოვრების... სიყვარული, სისუფთავე, სილაღე, იმედი ერთი დიდი, ფერადი საჰაერო ბურთია, რომლის ძაფზე ჩაჭიდებული, ხან ღრუბლებზე დანავარდობ, ხან ცისარტყელას ფერებში ლივლივებ, ხან უკიდეგანო ველებზე და ტყის ბილიკებზე დატანტალებ ფეხშიშველა... და მერე, როცა უკან იხედები, ხევ ნაცრისფერ, ოღრო-ჩოღრო გვირისტებით ამოკემსილ რიდეს, მზის სხივებით გაჩახჩახებულ, ულამაზესი ყვავილებით მოჩითულ სამყაროს ხედავ.

**- როდის და სად დაიბადა საბავშვო მწერალი დალი თედორაძე, რა იყო შთაგონების წყარო?**

- დავიბადე ბათუმის ერთ-ერთ ლამაზ მხარეში - ორთაბათუმში, დავამთავრე წინსვლის საშუალო სკოლა. ინსპირაციის ერთი, რომელიმე წყაროს დასახელება გამიჭირდება, რადგან ეს იყო უამრავი კამკამა თუ ნაცრისფერი წვეთის სინთეზი, რომელიც შემდეგ გადაიქცა წყაროდ... პირველ რიგში, ჩემი ოჯახის წევრების უსაზღვრო სიყვარული ლიტერატურის მიმართ, დედაჩემის მოყოლილი მითები და ისტორიული ამბები, დიდედას ფერადი ზღაპრები (რომელთა უმეტესობა, როგორც ახლა ვხვდები, მისი გამოგონილი იყო), ბუნება, სადაც დავიბადე და გავიზარდე - ჩიტების ჭიკჭიკი და ყვავილების სურნელი... სევდა. უდიდესი სევდა და გაუსაძლისი ტკივილი - მამის მოულოდნელი გარდაცვალება.

**- ამ საუკუნეში ზღაპრებით ბავშვების დაინტერესება როგორ შეძელით, როგორ არჩევდით თემატიკას, ფორმას და რას უთმობთ განსაკუთრებულ ყურადღებას?**

- გულწრფელად რომ გითხრათ, თემატიკასა და ფორმაზე არ ვფიქრობ. წერის დროს მხოლოდ ბავშვების სუფთა, კამკამა თვალებს ვხედავ. მინდა, დავუხატო სამყარო, სადაც ბედნიერებასთან ერთად სევდაცაა, მაგრამ მინდა დავარწმუნო, რომ „ყველა ადამიანს აქვს ფრთები, ყველას შეუძლია იფრინოს მოკრიალებულ ცაზე. ოღონდ კეთილის ხელის შეშველებაცაა საჭირო და ნახავთ, ვარსკვლავებამდე მიაღწევს ადამიანი. თბილ უბეში ჩაიწყობს ბრჭყვიალა ვარსკვლავებს და დედამიწაზე ჩამოგვიტანს, გაგვაბედნიერებს“. მე ამის მჯერა და ჩემმა საოცარმა მკითხველმა დაინახა ეს გულწრფელობა. ალბათ, ესაა ბავშვების დაინტერესების მთავარი მიზეზი, თუმცა ის სიტყვა, რომელიც ბავშვამდე უნდა მიიტანო, ათასჯერ უნდა გააშალაშინო, გრდემლში გაატარო, ბოლოს მოაჩუქურთმო, ცისარტყელას ფერებში ამოავლო და მერე გამოამზეურო.

> *„თემატიკასა და ფორმაზე არ ვფიქრობ. წერის დროს მხოლოდ ბავშვების სუფთა, კამკამა თვალებს ვხედავ. მინდა, დავუხატო სამყარო, სადაც ბედნიერებასთან ერთად სევდაცაა, მაგრამ მინდა დავარწმუნო, რომ „ყველა ადამიანს აქვს ფრთები, ყველას შეუძლია იფრინოს მოკრიალებულ ცაზე. ოღონდ კეთილის ხელის შეშველებაცაა საჭირო და ნახავთ, ვარსკვლავებამდე მიაღწევს ადამიანი. თბილ უბეში ჩაიწყობს ბრჭყვიალა ვარსკვლავებს და დედამიწაზე ჩამოგვიტანს, გაგვაბედნიერებს“. მე ამის მჯერა*

**- თოჯინების თეატრის სცენაზე თქვენი პიესები წარმატებულია...**

- თოჯინების თეატრში ოცდახუთი წელია ვმუშაობ. ეს ის ადგილია, სადაც მუდმივად ისმის ულამაზესი სამყაროს ნახვით გაბედნიერებული ბავშვების ჟრიამული. მე კი მომცა შესაძლებლობა, დავრჩენილიყავი ბავშვად, ისეთი აღმექვა სამყარო, როგორსაც ისინი ხედავენ. თეატრში დაიდგა ჩემი პიესები: „უსამართლო ლომი“, „ამბიციური ვირი“, „სტუმრად ბერიკებთან“, „სალამურას საახალწლო თავგადასავალი“, „ჯადოსნური ვარსკვლავი“, „ფიფქიას საოცარი ახალი წელი“; ინსცენირებები: „პეპი გრძელიწინდა“, „მგელი და შვიდი თიკანი“, „ბრემენელი მუსიკოსები“. ვარ თეატრში დადგმული თითქმის ყველა სპექტაკლის სიმღერების ტექსტის ავტორი. ულამაზესი შეგრძნებაა, როცა სცენაზე ცოცხლდებიან შენი ზღაპრის გმირები და გესმის შენს ტექსტებზე აჟღერებული მუსიკა, განსაკუთრებით კი როცა დარბაზიდან გამოსული მაყურებლის კმაყოფილ სახეს ხედავ.

**- როგორც ვიცი, ბავშვებისთვის შექმენით შემოქმედებითი სტუდია... მიზანი და შედეგი?**

- დიახ, მაქვს შემოქმედებითი სტუდია „მოალა“. ამ სტუდიის შექმნის ინსპირაცია კი ზუსტად ვიცი - სკოლებში გამართული ღონისძიებების: „შეხვედრა მწერალთან“, „კითხვის საათი“, „ზღაპრების კვალდაკვალ“ და ასე შემდეგ, დასრულების შემდეგ, ბავშვები მოდიოდნენ და თითქმის ჩუმად, საიდუმლოდ, მღელვარებისგან სახეალეწილი მეუბნებოდნენ: „იცით, მე ვწერ ლექსებს, მეც მაქვს ზღაპრები, მეც მინდა მწერალი ვიყო“. დავინახე ბავშვების გულის კუნჭულში მიმალული სურვილი და გადავწყვიტე, შემექმნა სტუდია, სადაც მთავარი ღირებულება ბავშვის ინდივიდუალობის წინ წამოწევა, ბედნიერების ჰორმონის გამომუშავება იქნებოდა, სადაც დავარწმუნებდი, რომ ადამიანის შესაძლებლობას საზღვარი არ ექნება, თუ ის შეძლებს გავიდეს საკუთარი სულის საპყრობილედან, სადაც მუდმივად უკიჟინებენ - ვერ შეძლებ, შენ ეს არ შეგიძლია, ეს არ გამოვა... დარწმუნებული ვარ, ჩემი სტუდიის ბავშვები შეძლებენ ყველაფერს, რასაც მიზნად დაისახავენ.

**- სასწავლო კერებს ხშირად სტუმრობთ, ხვდებით ბავშვებს. ეს რამდენად გეხმარებათ შემოქმედებით პროცესში? საინტერესოა, რას გრძნობთ, რა ხდება თვალსაჩინო?**

- ამისთვის დიდი მადლობა სკოლის დირექციას და განსაკუთრებით იმ პედაგოგებს, რომლებსაც გარდა განათლებისა, უნდათ, სხვა ღირებულებებზეც გაზარდონ თავიანთი მოსწავლეები. ბავშვებთან შეხვედრები ენით აღუწერელი გრძნობაა. შემოგცქერის უამრავი გაცისკროვნებული თვალი, სადაც ჭინკებივით აცეკვებული კითხვის ნიშნები, რიდი და მოკრძალებაა. დასმული შეკითხვებით გრძნობ, როგორ არიან ჩაძირული ზღაპრის მისტიკურ სამყაროში, როგორ აქვთ განცდილი და მორგებული მათთვის საყვარელი პერსონაჟები, გადალაგებული კეთილი და ბოროტი სამყარო. გრძნობ, როგორ გადარებენ შენ მიერ შექმნილ პერსონაჟებს და რწმუნდები, რომ უნდა წერო მათთვის და მხოლოდ მათთვის.

**- ეს თაობა და თუნდაც ათი წლის წინანდელი რომ შევადაროთ, ამ ეტაპზე აღზრდის პროცესის სწორად წარმართვისას რას უნდა დაეთმოს უპირატესი ყურადღება?**

- თანამედროვე ბავშვებს ბევრი შესაძლებლობა აქვთ ტექნოლოგიური სიახლეების თვალსაზრისით, რასაც მივესალმები და მომწონს. ოღონდ საჭიროა, ჩვენ, მშობლებმა და პედაგოგებმა ეს უნარი და შესაძლებლობა ცოდნის გაღრმავებასა და სამყაროს უკეთ შეცნობისკენ მივმართოთ. უფრო მეტი დრო უნდა დავუთმოთ ბავშვებთან ურთიერთობას. საჭიროა ხშირი, გულწრფელი საუბრები. მთავარია, ბავშვმა იგრძნოს, რომ პატივს სცემენ და ითვალისწინებენ მის აზრს, სოციუმის წევრია, მაგრამ ინდივიდია, აქვს უფლებები, მაგრამ ამასთანავე, მოვალეობებიც. ჩემი აზრით, ძალიან კარგი იქნება, თუ ერთად წავიკითხავთ წიგნებს, ერთად ვუყურებთ ფილმებს. ვიმსჯელებთ სიუჟეტზე, იმაზე, თუ რატომ დაწერა მწერალმა, რა უნდოდა ეთქვა. ხშირად უნდა ვკითხოთ: შენ როგორ ფიქრობ? შენ როგორ მოიქცეოდი?..

**- პატარა მკითხველები შეხვედრაზე უფრო მეტად რა კითხვებს სვამენ, რა აინტერესებთ, რა აწუხებთ, რა უხარიათ?**

- თითქმის ყველას აინტერესებს, როდის დავიწყე ზღაპრების წერა, რომელი ზღაპარი დავწერე პირველად, ვაპირებ თუ არა ახალი წიგნის გამოცემას. ყველა შეხვედრის შემდეგ ვეკითხები, უფრო მეტად რისი წაკითხვა ესიამოვნებათ, რაზე უნდათ დავწერო ზღაპარი და ვხვდები, რომ დიდი გავლენა აქვს უცხოურ ლიტერატურას და ანიმაციებს. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ საქართველოში ძალიან ბევრი საბავშვო მწერალია და სასურველია, მათ გაეცნონ, ამ მიმართულებით, საჭიროა მშობლების და განსაკუთრებით, პედაგოგების ჩართულობა და აქტიურობა.

**- რა არის თქვენთვის მთავარი ღირებულება?**

- გულწრფელობა, თანადგომის, თანალმობის სურვილის ქონა. ადამიანს ერთმა უბრალო წინადადებამ: „ნუ გეშინია, მე შენ გვერდით ვარ“ შეიძლება, მთები გადაადგმევინოს, უიმედოს - იმედი დაუბრუნოს, აგრძნობინოს, რომ ვიღაცას სჭირდება, ვიღაცისთვის ძვირფასია.

**- „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის“... ზოგი ასე აღიქვამს და განიცდის ბუნებას. თქვენ, როცა ბუნებაზე წერთ?**

- ყველაზე ლამაზი და ბედნიერი წუთებია, როცა ბუნებაზე ვწერ. მინდა უსასრულოდ გაგრძელდეს და არ გამოვიდე ამ საოცარი სამყაროდან. უკიდეგანოდ მიყვარს სოფელი, მიწის სურნელი. მთაში ყოფნა და ტყეში ხეტიალი, სოკოს კრეფა, ცად აზიდული თუ მიწიდან ახლად ამოჩიტული ნაძვის ხეების ცქერა და მათი გამაბრუებელი სურნელი. გულის ფანცქალით ველოდები ზაფხულის დადგომას, რადგან გომის მთაზე, ტყესთან ახლოს, მთებში ჩაძირული პატარა ხის სახლი მელოდება. მელოდება ჩემი სახლის ბინადარი, მრგვალთვალება წრუწუნა კიკი. ასწლოვან ნაძვის ხეზე, ნისლებისგან მოქსოვილ ჰამაკში მცხოვრები ტყის ფერია, მუხის ხის სასახლის ცელქი ციყვები, ნაცრისფერი კლდეები... ჰოდა, როცა მენატრება, ვწერ მათზე. ჩემი ყველა პერსონაჟი მე ვარ. მე ვარ ხე, ბუჩქი, ქვა, ღრუბელი, ვარსკვლავები... ვწერ და ვხდები, ჩემი სიტყვა უძლურია იმ სილამაზის და სიცოცხლის აღსაწერად და გადმოსაცემად, რაც ბუნებაშია. ბედნიერი ვარ, შვილებში და შვილიშვილებში ჩავდე ბუნების უსაზღვრო სიყვარული. კიდევ, უფრო ბედნიერი ვიქნები, თუ ამას ჩემს მკითხველში შევძლებ.

**- გამოაღეთ თქვენი სულის სარკმელი და გასძახეთ სამყაროს...**

- ულამაზესი და უძვირფასესი ხარ, სამყაროვ, საკმარისია, ისეთი დაგინახოთ, როგორიც ხარ!

**- ბათუმი, ბათუმელები და თქვენ...**

- ბათუმი ულამაზესი, უძველესი და უთბილესი ქალაქია, გამორჩეული, ლამაზი ტრადიციებით, სიყვარულის, მეგობრობის, მეზობლობის განსხვავებული ხიბლით. რამდენჯერ მიფიქრია, რა ლამაზ ქალაქში ვცხოვრობთ და ხშირად, ყოველდღიური რუტინის გამო, ამას ვერ ვამჩნევთ. ბედნიერი ვარ, სამყარომ მომცა იმის საშუალება, მეცხოვრა ამ ქალაქში, მევლო მის ულამაზეს ქუჩებში, სადაც ოდესღაც უდიდესი ადამიანები ცხოვრობდნენ და დადიოდნენ, ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ეპოქა, მეგრძნო განსხვავებულად თბილი და ალერსიანი მზის სხივები.

**სპორტი**

# ვინ – ვის და როდის ხვდება?

გუშინ ნიონში გაირკვა, რომ ხვიჩა კვარაცხელიას გუნდი, რომელმაც ტურნირის ამ ეტაპზე თამაშის უფლება ისტორიაში პირველად მოიპოვა, წილისყრამ „მილანს“ შეახვედრა. „ნაპოლი“ პირველ მატჩს სტუმრად 12 აპრილს გამართავს, საპასუხოს შინ - 18 აპრილს, გამარჯვებული კი ნახევარფინალში „ინტერი“-„ბენფიკას“ შორის საუკეთესოს შინ და სტუმრად დაუპირისპირდება.

**1/4-ფინალური წყვილები:**

**მადრიდის „რეალი“ V ლონდონის „ჩელსი“ (12 და 18 აპრილი);**

**მილანის „ინტერი“ V ლისაბონის „ბენფიკა“ (11 და 19 აპრილი);**

**„მანჩესტერ სიტი“ V მიუნხენის „ბაიერნი“ (11 და 19 აპრილი);**

**„მილანი“ V „ნაპოლი“ (12 და 18 აპრილი).**

**1/2-ფინალური წყვილები:**

**„მილანი“/„ნაპოლი“ V „ინტერი“/„ბენფიკა“;**

**„რეალი“/„ჩელსი“ V „სიტი“/„ბაიერნი“.**

ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალური მატჩები 11-12 და 18-19 აპრილს გაიმართება, ნახევარფინალები - 9-10 და 16-17 მაისს. წყვილში დასახელებული პირველი გუნდი დაპირისპირების სასტარტო თამაშის მასპინძელი იქნება. გამონაკლისი მხოლოდ „ინტერი“-„ბენფიკას“ წყვილია. სიმონე ინძაგის გუნდი პირველ შეხვედრას არა იტალიაში, არამედ პორტუგალიაში გამართავს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ „ინტერსა“ და „მილანს“ საერთო არენა აქვთ, შესაბამისად, საშინაო მატჩებს ერთკვირიან პერიოდში ერთად ვერ ჩაატარებენ.

ევროპის უმთავრესი საკლუბო ტურნირის ფინალური შეხვედრა 10 ივნისს სტამბოლში, ათათურქის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება. არენა, რომელიც 75 ათას გულშემატკივარს იტევს, ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ მატჩს ისტორიაში მეორედ უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ 2005 წელს ამ არენაზე „ლივერპული“-„მილანის“ ლეგენდარული ფინალი გაიმართა.

აქედანვე ცნობილია, რომ 2023 წლის სტამბოლის ფინალში ნომინალური მასპინძელი „მილანი“-„ნაპოლი“-„ინტერი“-„ბენფიკას“ კვარტეტში საუკეთესო კლუბი იქნება.



ერთი შეხედვით, „ნაპოლის“ მთავარი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი უკეთეს წილისყრას ვერც ინატრებდა, რადგან ნეაპოლელებს ფინალისკენ გზაზე ასცდათ ტურნირის მოქმედი გამარჯვებული მადრიდის „რეალი“, მიუნხენის „ბაიერნი“, „მანჩესტერ სიტი“ და ლონდონის „ჩელსი“, მაგრამ თავად სპალეტის თქმით, ასე მხოლოდ არაკომპეტენტური ადამიანები ფიქრობენ: „მერჩივნა, იტალიურ გუნდს არ შევხვედროდით. უკვე მოვისმინე შეფასებები და მხოლოდ არაკომპეტენტური ადამიანები საუბრობენ ჩვენთვის კარგ წილისყრაზე, რადგან ჩემპიონთა ლიგა „მილანის“ სახლია. მათ ეს ტურნირი 7-ჯერ მოიგეს და მე-2 ადგილზე არიან „რეალის“ შემდეგ. საკმარისია იმის თქმა, რომ „მილანის“ ტექნიკურმა დირექტორმა პაოლო მალდინიმ მარტომ მოიგო ეს ტურნირი 5-ჯერ... ბოლო დღეებში წავიკითხე, რომ „მანჩესტერ სიტის“, „პსჟ“-ს და მსგავს გუნდებს უჭირთ ბოლომდე გასვლა, რადგან არ აქვთ საერთაშორისო გამოცდილება. თუ ეს სიმართლეა, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის ფავორიტია. მან „ტოტენჰემი“ გააგდო. რომელიმე ჩვეულებრივი კლუბი კი არა, „ტოტენჰემი“! ობიექტურები ვრჩებით. გგონიათ, „ბენფიკა“, „მილანი“ ან „ინტერი“ ასე არ ფიქრობენ?! მათაც შეუძლიათ იგივე მსჯელობა, რომ ისინი ფავორიტები არიან ფინალში გასასვლელად. წონასწორობა უნდა შევინარჩუნოთ, სიტყვებით შედეგი არ მოდის“.

**ამირან გურიელიძე**